# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 1 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 172 (6272)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## სამშობლოს გაყიდვა ახალი სარფიანი ხელობაა!.. ③



ჩვენ გამოვფხიზლდით, მაგრამ ახლა ახალი თაობა გაგვისულელეს! თუმცა ამ თაობას ისეთივე სულელი არ ეთქმით, როგორიც ჩვენ ვიყავით. ჩვენ გულწრფელი სულელები ვიყავით, ესენი ანგარებითი სულელები არიან: თავს ისულელებენ მილიონების ფასად, სამშობლოს გაყიდვით!

## სამშობლო – გულში! ⑥-⑦



საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა!

## რუსებისა და ქართველების ④ ურთიერთობების გათვალისწინებით ყველაფრის შემობრუნება შესაძლებელია

## ნაცემმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლეს?!



ანუ როგორ აარიდეს „პაკაზატელის“ გაფუჭება შაშკინის უწყებას და როგორ გაზარდეს ფაქტობრივად გარდაცვლილი პატიმრით პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა სია ⑤

## შენ რომ გგონია, ერბო ქონია... ②





ზოგს რომ კიმისა ჰგონია, რკინის მკვნეტელი ყოფილა!

## „გახსნივალკა“ ②



◎ არც ახლა დაიჯერებთ?

# შენ რომ გგონია, ერბო ქონია...

## ზოგს რომ ჯიბისა ეგონა, რკინის მკვნეტელი ყოფილა!

**შენ მოგმართავ წერილის ამ სათაურით, მკითხველო, მით უფრო, ოპოზიციურად განწყობილო! მოგმართავ, თანაც ერთგვარი ნიშნის მოგებითაც, რადგან აქამდე ისე აკვიატებულად და დაჟინებით იძახდი, სააკაშვილმა ხალხს წაჰგვარა თავისუფალი მასმედია და აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, ტელეკომპანიები „ჯიბეში ჩაისვა“ და თავის დაკრულზე აცეკვებსო, კინაღამ დავიჯერე.**

**ახლა კი, როდესაც სოფელ არგვეთში ჩვენს საამაყო მუხრან მაჭავარიანთან სტუმრად მისული მიხეილ სააკაშვილი ვნახე, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მართლაც ენაჭარტალა, ცრუპენტელა, ბუზის სპილოდ გადაქცევის მოყვარული თუ უამრავი სხვა უარყოფითი თვისების მქონე ყოფილხარ.**

მოკლედ, შენი უკვე არა მჯერა!

და აი, რატომ:

**„იმდენი ილაპარაკა ჩემს შემოქმედებაზე, ისე ჩახედული ყოფილა ჩემს პოეზიაში და იმდენი ლექსი სცოდნია ზეპირად, რომ სიმართლე გითხრათ, მესიამოვნა. არ ვიცი, ჩემთან სტუმრობამდე გაეცნო ასე კარგად ჩემს შემოქმედებას თუ მანამდეც იცნობდა, მაგრამ მე კმაყოფილი დავრჩი“.**

ეს ციტატა ბატონ მუხრან მაჭავარიანთან ინტერვიუდანაა, რომელიც პრეზიდენტის სტუმრობის შემდეგ ჩამოურთმევია მისთვის „კვირის პალიტრას“ და 31 აგვისტო-6 სექტემბრის ნომერში დაუბეჭდავს.

ნებისმიერი, ვინც ამ მართლაც დიდ პოეტთან პრეზიდენტის სტუმრობის ამსახველ ტელესიუჟეტს უყურა და ნახა, მიხეილ სააკაშვილი ლამის პირველკლასე-



ლივით როგორ იმეორებდა ბატონი მუხრანის მიერ ნაკარნახევ სიტყვებსა თუ ტაეპებს შესანიშნავი პატრიოტული ლექსიდან, დამერწმუნება, რომ ზემოთ მოყვანილი ამონარიდი, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უხერხულად ჟღერს.

მაშ, რა გამოდის? ბატონი მუხრანი ტყუის და ცდილობს პირი მოჰბანოს სააკაშვილს?

რა ვიცი, მუხრან მაჭავარიანს თავის დროზე კომუნისტებისა არ შეშინებია და ახლა სააკაშვილთან პირმოთნეობს?

იქნებ იმისი ერიდება, რომ თავისი 80 წლის იუბილეზე პრეზიდენტს საჩუქრად „ჯიპის“ მიღებაზე უთხრა უარი და ერთგვარად ცდილობს ურთიერთობის დათბობას?

თანაც სხვა რა გზა ჰქონდა ბატონ მუხრანს, არგვეთში ჩასული პრეზიდენტი ხომ „დღეს სტუმარია ის ჩემი...“

თუმცა, ამჟამად ამის გარკვევა სულაც არ არის ჩემი მიზანი. მე იმ მკითხველებს მინდა პირში ბურთი ჩავჩარო, ვინც ამტკიცებს, სააკაშვილმა ყველა ტელეკომპანია „ჩაიჯიბაო“.

როდესაც ბატონი მუხრანი ამბობს, პრეზიდენტს ჩემი ბევრი ლექსი სცოდნია ზეპირადო, ესე იგი, სააკაშვილს, იმ ერთი ლექსის გარდა, რომელიც თვით პოეტის დახმარებით ძლივს ჩაათავა, სხვებიც წაუკითხავს და იცის.

**და რაკი სხვებიც წაუკითხავს, ტელეარხებმა რაღა მაინცდამაინც ის კადრები აჩვენეს, მიხეილ სააკაშვილი პირველკლასელივით რომ წარმოგვიდგა?**

**ეს არის, ყველა ტელეარხი სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიააო?**

**ასე რომ იყოს, ეს ტელეკომპანიები ხომ იმ კადრებს აჩვენებდნენ, სადაც პრეზიდენტი უშეცდომოდ ჩაარაკრაკებდა მუხრან მაჭავარიანის ლექსებს?**

ამათ კიდევ – ხომ ხედავთ, თქვენმა საქებარმა პრეზიდენტმა მარტო კაკალაშვილის ლექსები იცის უშეცდომოდ (ისიც კითხვით!ძ, თორემ დანარჩენებთან მწყრალად არის და რუსთაველი და ორბელიანიც ერთმანეთში ერევაო!

**ეს არის საქმე? ეს არის პრეზიდენტის „ჯიბის ტელეკომპანიები“, სინამდვილეში რკინის მკვნეტელები რომ ყოფილან?**

კიდევ არ გჯერათ, რომ პრეზიდენტი მტრებით არის გარშემორტყმული?!

„ახლაც არ დაიჯერებთ?“ – ეს სიტყვები ეპიტაფიად ყოფილა ამოკვეთილი მეგობრების მოყვარული ერთი კაცის საფლავის ქვაზე, რომელიც თურმე სულ იხვეწებოდა, ნუ მაძალებთ სასმელს, ცუდად ვარ და არ შემიძლია დალევა, მოვკვდებიო!

და მოკვდა კიდეც!

**ამის ანალოგიით, ახლაც არ დაიჯერებთ, რომ სამივე „რუსთავი-2“ სააკაშვილის ქვეშევრდომი და მეგობარი კი არა, ფარული, თანაც დაუძინებელი მტერია, რომელიც ხელსაყრელ მომენტს არ გაუშვებს მისთვის კვანტის დასადებად?**

ამათ კიდევ, ოპოზიციონერებმა, ასეო, ისეო, ახლა თავისი მეგობარი არველაძე გაუშვა შეფად სხვისთვის უკანონოდ, ყაჩაღურად წართმეულ „იმედშიო“, რათა ხალხს სამოთხედ მოაჩვენოს ჩვენი გაძაღლებული დღევანდელობა, დიქტატორი სააკაშვილი კი დემოკრატადო და ა. შ.

არ ვარგა ასე, ბატონებო, ასეთი ჩასაფრება არ ვარგა, თორემ სააკაშვილიც ისწავლის, როცა იქნება, რამდენიმე ლექსს (მით უფრო, მაშინ, როცა პოეტთან სტუმრობის თადარიგს დაიჭერსძ და პატიოსანი ტელეკომპანიებიც გამოჩნდებიან.

**აი, თქვენ რა გეშველებათ, თორემ...**

**რუსლან რუსია**

◎ კვირის სარკეში

**დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ ერთ მეგობრულ ოჯახურ სუფრაზე ოთხიოდე წლის გოგონამ დედას ასე მიმართა: „მამოჩკა, დაი, პაჟალუისტა, გახსნივალკუ“.**

მაშინ, ჯერ კიდევ გაგანია კომუნისტურ ეპოქაში, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ოდესმე დამოუკიდებელ საქართველოს ეყოლებოდა გახსნის მანიით შეპყრობილი მმართველი. ვგულისხმობ, არა მარტო ძველი და ახალი ობიექტების გახსნის ცერემონიებს, არამედ ათასნაირი არსებული და არარსებული დანაშაულობების „გახსნებსაც“, რომელთა უცვლელი ოფიციალური გამხსნელი, „გახსნივალკა“, ბრძანდება თავად საქართველოს პრეზიდენტი, მისი აღმატებულება მიხეილ სააკაშვილი.

ბუნებრივია, მან შანსი არც გასულ კვირაში გაუშვა და ზუგდიდში „იუსტიციის სახლი“ გახსნა.

# „გახსნივალკა“



არ ვამბობ, რომ ისეთი ტიპის დაწესებულებები, როგორიც ახლადგახსნილი „იუსტიციის სახლია“, საჭირო არ არის. პირიქით, მიმაჩნია, რომ ეს არის თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი: სააკაშვილის ხელისუფლებამ შესძლო დაენგრია მანამდე არსებული ბიუროკრატიული სტერეოტიპები და მოქალაქეებს არსებობა ოდნავ მაინც შეუმსუბუქა. მოკლედ, ვეთანხმები ყველას, ვინც ამბობს, რომ „იუსტიციის სახლების“, სხვა მსგავსი დაწესებულებების შექმნა კარგია, შესანიშნავია, მისასალმებელია და სააკაშვილის ხელისუფლების დამსახურებაა.

ოღონდ ის არის ყოვლად უცნაური, რომ ყველა მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ობიექტს, საავტომობილო ტრასის რომელიღაც მონაკვეთიდან ფეხსაცმლების კერძო საამქრომდე, უეჭველად პრეზიდენტი ხსნის და, რაც მთავარია, პროპაგანდისტულ სიტყვასაც უეჭველად წარმოთქვამს. თანაც, ექსპრომტად.

გამონაკლისი არც ზუგდიდი ყოფილა. ბატონი პრეზიდენტი, ტრადიციულად „იუსტიციის სახლის“ სიკეთეების, ხელისუფლების მიერ ხალხზე ზრუნვაში თეთრად გათენებული ღამეების აღნიშვნით არ შემოიფარგლა.

– აი, ხომ ხედავთო, – ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა, – შევარდნაძის ხელისუფლება ყველაფერს ყიდდა, თბილისში ქორწინების სასახლეც კი ერთ ოლიგარქს მიჰყიდა. ჩვენ კი არაფერს არ ვყიდით, პირიქით, ვაშენებთ და თქვენ გჩუქნითო.

ის „ერთი ოლიგარქი“, ბატონმა პრეზიდენტმა სასხვათაშორისოდ რომ ახსენა, განსვენებული ბადრი პატარკაციშვილია, ვისი მეგობრობითაც სააკაშვილი დიდხანს ამაყობდა და უარს არც მის ფინანსურ მხარდაჭერაზე ამბობდა; ის კაცია, ვინც საქართველოში უამრავი კეთილი საქმის გაკეთება მოასწრო და რომ დასცლოდა, კიდევ ბევრს გააკეთებდა; სწორედ ის არის, ვინც ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მტრად და მოღალატედ გამოაცხადა და მის ოჯახს უცერემონიოდ წაართვა ყველაფერი, რისი წართმევაც შესძლო.

თავის დროზე, მილიარდერმა ბადრი პატარკაციშვილმა მართლაც იყიდა თბილისში, ავლაბარში მდებარე უფუნქციოდ დარჩენილი და გაძარცვულ-გავერანებული ქორწინების სასახლე. თუმცა, პრეზიდენტი სააკაშვილის ზუგდიდურ ისტორიულ გამოსვლაში მთავარი ის გახლავთ, ჩვენ არაფერს არ ვყიდითო, რომ თქვა.

არაფერს არ ყიდის კი არა, დღევანდელმა ხელისუფლებამ უკვე გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა და ისიც, რისი გაყიდვაც არ შეიძლებოდა. გაყიდულია მთელი ქართული ენერგოსისტემა ენგურჰესის ჩათვლით, გაყიდულია „თბილწყალკანალი“ და ბუნებრივი რესურსები; გაყიდულია საქართველოს ისტორიული ტერიტორიები... გაგიკვირდებათ და, ყველაფერი ეს მიყიდულია იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება საქართველოს დაუძინებელ მტრად გვისახავს – რუსეთისთვის. იყიდება იუსტიციის სამინისტროს, გამომცემლობა „სამშობლოს“, სპორტის აკადემიის შენობები. პრეზიდენტი კი სერიოზული სახით გვიმტკიცებს, ჩვენ (ხელისუფლებაძ არაფერს არ ვყიდითო.

### საშიში გარიგება

**გასულ კვირაში გაიყიდა კიდევ ერთი სერიოზული (ძალიან სერიოზული!ძ დაწესებულება – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი ბატონმა ვანო მერაბიშვილმა, ფორმალურად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, იყიდა.**

ქართული არმიის ყიდვა-გაყიდვის პროცედურა გენიალურად უბრალოდ ჩატარდა – მინისტრად ბატონი მერაბიშვილის ფავორიტი, ავად ცნობილი ბაჩო ახალაია დაინიშნა, მეშვიდე თავდაცვის მინისტრი ბოლო ხუთ წელიწადში!

თუ გავითვალისწინებთ, რომ 27 წლის ბატონი ბაჩო 22 წლისა სახალხო დამცველის პირველი მოადგილე, ხოლო მანამდე აქტიური რევოლუციონერი იყო, პრეზიდენტის თეორია მისი „საფუძვლიანი ევროპული განათლების“ თაობაზე ერთობ საეჭვოდ გამოიყურება.

ბატონ პრეზიდენტს არც დაუმალავს – არმიას „მკაცრი ხელი“ სჭირდება და ბაჩოს მინისტრად იმიტომ ვნიშნავო. ეჭვიც არ მეპარება, თავისი სისასტიკით ცნობილი ახალაია პრეზიდენტის ნდობას რომ გაამართლებს და რის ვაი-ვაგლახით შეკოწიწებულ ქართულ არმიას საბოლოოდ გარყვნის – არმიას მერაბიშვილის უწყების დანამატად გადააქცევს.

სამხედრო მშენებლობის, ზოგადად, სამხედრო საქმის აბსოლუტურად უცოდინარი და უპასუხისმგებლო სასტიკი ბიჭის დანიშვნით პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაადასტურა, რომ მას არ სჭირდება არმია, როგორც სახელმწიფოს ინტერესების დამცველი. მას სჭირდება არმია საიდუმლო პოლიციის ფუნქციებით. უფრო პროზაულად, პრეზიდენტს ეშინია საკუთარი ხალხისა და ფიქრობს, რომ პოლიტიკური ძალები, საიდუმლო სამსახურები, სპეციალური დანიშნულების რაზმები და ბუმბერაზი პირადი დაცვა მისი პერსონის უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლევა. ალბათ, ამის საფუძველიც აქვს. ამავე დროს, ეგრეთ წოდებულმა „მუხროვანის აჯანყებამ“, ანუ სამხედროების მხრიდან უკანონო ბრძანების შეუსრულებლობამ დაარწმუნა, რომ პროფესიონალი და პატიოსნად მკაცრი სამხედროების ხელში არმიის გამოყენება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალიან გაუჭირდებოდა. სავარაუდოდ, არმიის გარყვნაზე, ანუ მისთვის პოლიციური ფუნქციების შეთავსებაზე, ვერც მინისტრი დავით სიხარულიძე დაიყაბულა. აი, ბატონი სასტიკი ბაჩო კი სწორედ ის კაცია, ვინც პრეზიდენტის (ვანო მერაბიშვილისძ ნებისმიერ ანტიკონსტიტუციურ და ანტიადამიანურ მითითებას უსიტყვოდ შეასრულებს. თავისი ძალიან ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ბაჩო ახალაიამ უკვე მოასწრო თანამოქალაქეთა სისხლში ხელების გასვრა და ამით უკან დასახევი გზა სამუდამოდ მოიჭრა.

რაც შეეხება სისასტიკეს, ბაჩო ახალაიას იგი დასჭირდება იმ ადამიანების დასათრგუნად, ვინც ქართული არმიის ფაშისტურ-გერმანული გესტაპოს ტიპის დაწესებულებად გადაკეთებას შეეწინააღმდეგება.

**სამხედრო მშენებლობის, ზოგადად, სამხედრო საქმის აბსოლუტურად უცოდინარი და უპასუხისმგებლო სასტიკი ბიჭის დანიშვნით პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაადასტურა, რომ მას არ სჭირდება არმია, როგორც სახელმწიფოს ინტერესების დამცველი. მას სჭირდება არმია საიდუმლო პოლიციის ფუნქციებით**

ძალიან ახალგაზრდა კაცი, ბაჩო ახალაია გულწრფელად მენანება ურჩხულის როლის შესასრულებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთია მისი არჩევანი. კარგი იქნებოდა, ბაჩოს მშობლებს და მის სხვა წრფელ გულშემატკივრებს სცოდნოდათ, რომ სასტიკის როლის თამაში, საბოლოოდ, უზომო ტრაგედიით მთავრდება. ისტორია გამონაკლისებს არ იცნობს.

მეგონა, გასული კვირა ისე ჩაივლიდა, საქართველოში დიდად მნიშვნელოვანი არაფერი მოხდებოდა. ისიც მგონია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს თავდაცვის მინისტრის ახალ კანდიდატურაზე წინასწარ არ უფიქრია. ეტყობა, მშვიდად ცხოვრება კიდევ კარგა ხანს არ გვიწერია.

**თეიმურაზ ქორიძე**

№ 172. სამშაბათი, 1 სექტემბერი, 2009 წელი.

პოლემიკა

# სამშობლოს გაყიდვა ახალი სარფიანი ხელობაა!...

***დსთ-დან გამოსვლა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შესვლის სურვილი „შინ უვარგისი ძაღლის სანადიროდ გაქცევას“ მოგვაგონებს. ჩვენი პოლიტოლოგ-ექსპერტები კი, პოლიტიკოსებზე (ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში მყოფებზე) რომ აღარაფერი ვთქვათ, ქოსატყუილა გორბაჩოვივით ცრუ დაპირებებით კვებავენ ხალხს, „ევროპის საერთო სახლში შეყვანის“ ცდუნებით საბჭოთა ქოხს რომ ანგრევინებდა. და მორწმუნე თომებიც უკვე მეორედ „შედიან ქორწილში — ჩვენს სახლს აქა სჯობნებიაო“. თუმცა საბჭოთა „ქოხსა“ და დსთ-ს ხუხულას შორისაც ფრიად დიდი განსხვავებაა, რისი დანახვაც თვალაბმულ თუ თვალისამბმელ ცრუისტორიკოსებსა და ცრუპოლიტოლოგებს არაფრით არ ნებავთ.***

ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორის ვასილ ჭყოიძის ზმანებით, მაგალითად, „დსთ-დან გამოსვლის დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ საქართველომ რეალურად მოახდინა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების დემონსტრაცია. ამ ნაბიჯით საქართველომ ყველას დაანახა, რომ არ აპირებს საბჭოთა წარსულში დაბრუნებას, რომლის სიმბოლოსაც დღეს დსთ წარმოადგენს“.

რას ნიშნავს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების დემონსტრაცია? ალბათ, იმასვე, რასაც ჩვენი ოპოზიციის დემონსტრაცია – „გადადგეს სააკაშვილი!“ მაგრამ თუ ბ-ნმა მიხეილმა ყური არ შეიბერტყა, რამედ ეღირება ცარიელი დემონსტრაცია?! დსთ-დან გამოსვლას, როგორც ადრე საბჭოთა კავშირის დანგრევას, მაშინ ექნებოდა აზრი, ევროატლანტიკური სტრუქტურები კალთებს რომ გვაგლეჯდნენ, არიქა ჩვენთან გაერთიანდითო. კარგი, დაგიჯერებთ, რომ „ხვალ“ დაგვაგლეჯენ. მაგრამ როდის იქნება ეს „ხვალ“ და მანამდე რა ქნას ამ ყველა „ქოხიდან“ გამოყრილმა ხალხმა?

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველო არავის სჭირდება და ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ის იქ ინტეგრირდება. რომც დავუშვათ და ნატოში გაერთიანდეს, ნატოში ინტეგრირება ევროკავშირში ინტეგრირებას არ ნიშნავს, როგორც ევროკავშირში



ინტეგრირება — მუქთად ჭმევას. ევროკავშირი უბრალოდ შიდასაერთო ბაზარია, სადაც რაღაც უნდა გქონდეს, რომ გაყიდო. საქართველოს კი, რა აქვს დღეს გასაყიდი? გაზი და ნავთობი ჩვენ არა გვაქვს. ღვინო, წყალი, ციტრუსი? ღვინოს, წყალსა და ციტრუსს მიაქვს ევროკავშირი. ერთ ყუთ ღვინოს თუ იყიდი, ერთ ყუთს უფასოდ გაძლევენ. საქართველო, ბაზარზე რომც დაუშვან, თავისზე ათჯერ დიდ მწარმოებელ ქვეყნებს — საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს კონკურენციას ვერ გაუწევს. ჩვენი ბუნებრივი ბაზარი რუსეთი და შუა აზიაა, ანუ დსთ-ს ეკონომიკური სივრცე, ჩვენი ხელისუფლების უტვინობით კი იქიდანაც გამოვცვივდით.

ყველა ყველა, მაგრამ რა „საბჭოთა წარსულში დაბრუნებით“ გვაშინებს ბ-ნი ვასილი და მისი ბატონები? სად დსთ და სად საბჭოთა წარსული?! რანაირად წარმოადგენს დსთ მის სიმბოლოს?! და, ბოლოს და ბოლოს, რა საფრთხობელას გვიხატავენ, დღევანდელი გადასახედიდან მაინც „საბჭოთა წარსულის“ სახით, განსაკუთრებით კი დაშლილ-დანაწევრებული სამშობლოს შემყურე, დევნილად ქცეულ და არსებობის სახსარწართმეულ ქართველ ხალხს?!

„რუსმა სტალინმა“ (თეა თუთბერიძის გამოთქმა არ გეგონოთ, იგი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს ეკუთვნისძ საბჭოთა კავშირი რომ შექმნა, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა თავისი პატარა და ღარიბი სამშობლოს ინტერესებს მოარგო. მან იცოდა, რომ საქართველო სუსტი და ღარიბი იყო (ჩვენ რომ ძლიერი და მდიდარი გვეგონა, „ბორჯომით“!ძ და, ირან-ოსმალეთის მიერ შუაზე გაგლეჯილი, ლეკების მიერ აწიოკებული, ხოლო ცარიზმით შეერთებულ-დაწყნარებული, მაგრამ ეროვნულობადაკარგული ქვეყანა, საბჭოთა კავშირის საშუალებით, „საქართველოს სსრ“-ს საზღვრებში (ეროვნულ-სახელმწიფოებრივად აღადგინა. ბოლიში, რომ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგაწამდე“ ვერ განავრცო და სამხრეთ ოსეთსაც „სამაჩაბლო“ ვერ უწოდა.. ჩვენ ხომ ვუწოდეთ და — დავკარგეთ!

სტალინმა (ასეთ ბუმბერაზებს ეროვნება არ სჭირდებათ, ჩვენ გვჭირდება მისი ეროვნება, მას კი ეროვნებად თავისი შექმნილი საბჭოთა კავშირი ეყოფაძ დიდ და მდიდარ რუსეთსა და სხვა აგრეთვე დიდ და მდიდარ მოკავშირე რესპუბლიკებს გაუთანაბრა პატარა და ღარიბი საქართველო, პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც. მაგრამ ათასწლეულების ამ სასწაულზე (რა შეიძლება უწოდო უფასო სწავლის, უფასო მკურნალობის, უფასო იურიდიული მომსახურების და ა.შ. სახელმწიფოს რეალურად არსებობას, თუ არა სასწაული?! არადა, მასწავლებლობა, ექიმობა და ვექილობა სამოციქულო საქმიანობებია: როგორ შეიძლება, უცოდინარს არ ასწავლო, ავადმყოფს არ უმკურნალო და უსამართლოდ დაჩაგრულს გვერდით არ დაუდგე?!ძ აღარ არის საუბარი. იგი აღარ დაბრუნდება ათასეული წლები, რადგან ყოველ ათას წელში არ იბადებიან სტალინები. რუსმა „პატრიოტებმა“ (მათაც ჰყავთ ჩვენნაირი გიჟებიძ, საბჭოთა კავშირთან ერთად, თავიდან მოიშორეს მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ პოლიტიკური პასუხისმგებლობის ტვირთი, რომ მუქთად აღარ ეჭმიათ მათთვის (ე. ი. ჩვენთვისაცძ, რაშიც მათ, ჩვენი სიბრიყვით, ხელი შევუწყეთ 1989 წლის 9 აპრილს საკუთარი ტრაგედიით.

დსთ ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის სფეროა და არა პოლიტიკური ორგანიზაცია. მისი წევრები დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. ამ სფეროს წევრობა იმით არის სასარგებლო, რომ შეგიძლია ხელსაყრელ ფასებში იყიდო და გაყიდო საქონელი. ხოლო ვინაიდან ჩვენ დღეს მეტს ვყიდულობთ, ვიდრე ვყიდით, თავისთავად ცხადია, რომ დსთ-ს წევრ ქვეყნებთან უფრო მომგებიანია ჩვენთვის ეკონომიკური კავშირურთიერთობების ქონა, ვიდრე დსთ-ს არაწევრ ქვეყნებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ დსთ-ს წევრი ქვეყნები ეკონომიკურად ჩვენი დონის ქვეყნებია, რომლებიც მოითხოვენ ჩვენგან არა ჯართსა და ნედლეულს, არამედ მზა ნაწარმს, რაც ხელს უწყობს ჩვენი წარმოების განვითარებას და ადამიანების დასაქმებას. დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების დაჭერა კი, რასაც ჩვენი ხელისუფალნი ესწრაფვიან, უსარგებლო და საზარალოა ჩვენთვის, რადგან მხოლოდ ჯართი და ნედლეული უნდათ ჩვენგან, მზა ნაწარმს კი თვითონ გვთავაზობენ ზემაღალ ევროატლანტიკურ ფასებში, რაც ტყავს აძრობს ჩვენს ისედაც ტყავგამძვრალ მოსახლეობას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კლავს ჩვენს წარმოებას, მათი ნაწარმის მომხმარებლებად გვაქცევს და მასიურ უმუშევრობას იწვევს. კოკა-კოლა რომ ქართულ ლიმონათს არა სჯობია, ამას თვითონ ამერიკელებივე აღიარებდნენ გასული 60-იანი წლების დასაწყისში მუშტაიდის ბაღში მოწყობილ გამოფენაზე, მაგრამ გასულელებული ვიყავით უნახავი „ამერიკით“... ჩვენ გამოვფხიზლდით, მაგრამ ახლა ახალი თაობა გაგვისულელეს! თუმცა მათ ისეთივე სულელები არ ეთქმით, როგორიც ჩვენ ვიყავით. ჩვენ გულწრფელი სულელები ვიყავით, ესენი ანგარებითი სულელები არიან: თავს ისულელებენ მილიონების ფასად, სამშობლოს გაყიდვით!

**სამშობლოს გაყიდვა ახალი სარფიანი ხელობაა. მისი პიონერები ნიკიტუშკა-დურაჩოკს თუ გულწრფელ სულელად ჩავთვლით, ტყირპიანი გორბაჩოვი (ტყუილად როდი ამბობდნენ, ტყირპი ცუდის ნიშანიაო), ლოთი ელცინი და „დიდი პოლიტიკოსი“ შევარდნაძე იყვნენ, რომლებმაც მილიარდებად გაყიდეს საბჭოთა კავშირი. ყველანი თავს იკატუნებენ, საბჭოთა კავშირი ჩვენი სამშობლო არ იყოო, მაგრამ, სინამდვილეში, ყველას სამშობლო იყო. ლენინს ადრევე გული უგრძნობდა, „რუს კაცს არ შეუძლია სახელმწიფო მართოსო“. მაგრამ თუ მისი უგვანი მემკვიდრენი სახელმწიფოს გაყიდიდნენ, მასაც ვერ წარმოედგინა.**

გორბაჩოვსა და ელცინს კიდევ შეიძლება გავუგოთ, რამდენადაც უცხოტომელი სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა ეკონომიკური სისტემა მოკავშირე რესპუბლიკების სასარგებლოდ იყო აწყობილი და, შესაძლოა, ანგარებასთან ერთად, ცოტა „პატრიოტიზმიც“ ამოძრავებდათ. მაგრამ, ანგარების გარდა, რა ამოძრავებდა „დიდ პოლიტიკოსს“?!

***ჩვენ გამოვფხიზლდით, მაგრამ ახლა ახალი თაობა გაგვისულელეს! თუმცა მათ ისეთივე სულელები არ ეთქმით, როგორიც ჩვენ ვიყავით. ჩვენ გულწრფელი სულელები ვიყავით, ესენი ანგარებითი სულელები არიან: თავს ისულელებენ მილიონების ფასად, სამშობლოს გაყიდვით!***

ჰო, დსთ-ზე მოგახსენებდით. ეს პატიოსანი აბრევიატურა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას ნიშნავს, რომელსაც, „თქვენდა გასახარად“, საერთო არა აქვს რა იმ „წყეულ“ (ნეტარხსენებულ!ძ საბჭოთა კავშირთან და მიზნად ისახავს, არც მეტი, არც ნაკლები, ერთმანეთს შორის შეღავათიან ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობას. ამიტომ არის შეფუცხუნებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საკუთარი სირეგვნით იქიდან გამოვარდნის გამო. ჩემი უვიცი და არამკითხე შეხედულებით რომ არ შეგაწუხოთ, თვითონ „ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორის“ ბ-ნი ვასილ ჭყოიძის ლამაზი სიტყვებით ჩამოგიკიწკიწებთ: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რათა მოხერხდეს დსთ-ს ფარგლებში მიღებული, ჩვენთვის სასარგებლო შეთანხმებების შენარჩუნება“.

ნეტა შენარჩუნდეს! მაგრამ რომ არ შენარჩუნდეს?.. ამაზეა ნათქვამი, „არა გჭირდეს ჭირიო...“

დსთ-დან გამოსვლა თავდაღმართში დაწეული ქვაა საქართველოს მოსახლეობისათვის. იგი დიდად არ დააზარალებს სახელისუფლებო წრეებს, რომლებმაც იმდენი სიმდიდრე მიიტაცეს, რომ საშვილიშვილოდ ეყოფათ, მაგრამ ისედაც გაღატაკებულ ხალხს კი მთლად ბოლოს მოუღებს. ამიტომ თქვა სერგეი ლავროვმა, „საქართველოს დსთ-დან გასვლა ნეგატიურად აისახება უბრალო მოქალაქეებზეო“, რაც ვიღაც-ვიღაცებმა „მუქარად“ აღიქვეს. ყველაფერში მუქარა არ უნდა დავინახოთ. მუქარა უნდა გავარჩიოთ უბრალო გაფრთხილებისაგან. ბ-ნი ლავროვის გაფრთხილება რეალურ ფაქტებზე დამყარებული პროგნოზია, რომელსაც, სამწუხაროდ, ახდენა უწერია.

* * *

დსთ-დან გამოსვლა საქართველოს კუთხეში მიმწყვდეულ რუსეთთან ბრძოლის საშუალებაც არ იყო და არ არის, როგორც ეს ჩვენს 52 პროფესორს ეგონა და ჰგონია, რომ რაკი „ასეთ შემთხვევაში რუსეთის „სამშვიდობოების“ იურიდიული სტატუსი ნულს გაუთანაბრდებოდა“, მათ მყისვე „გაეროს სამშვიდობო შეიარაღებული ძალები ჩაენაცვლებოდა“. დღევანდელმა რეალობამ მაინც უნდა დაგვარწმუნოს, რომ „მშვიდობის დამცველის“ სტატუსმოკლებული რუსეთი სხვა სამართლებრივ ფორმას მოძებნიდა იქ დასარჩენად, როგორც ეს გააკეთა აფხაზეთისა და ოსეთის „მფარველის“ სტატუსის მოპოვებით. იგი, როგორც ნებისმიერი დიდი სახელმწიფო, ყოველთვის ეცდება, სამართლებრივად ან ძალით, სანამ ძალა შესწევს, ხოლო ჯერჯერობით შესწევს, არ შეუშვას მტრული ძალები თავისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროში. და ამაში გასაკვირი არაფერია.. ჩვენ უნდა ვეცადოთ, არ აღმოვჩნდეთ ამ ძალების იქ შემყვანის როლში და დარტყმის ქვეშ არ დავიყენოთ თავი, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენს ინტერესებშიც არ შედის. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის სახელმწიფოს დაცემა კარგს არას უქადის საქართველოს. ვიღაც-ვიღაცები „კავკასიის ერთიანობაზე“ ამყარებენ იმედებს, რაც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ქართველი ხალხისთვის. მუსულმანური ჩრდილოკავკასია გაცილებით უფრო სასტიკი იქნება საქართველოს მიმართ, ვიდრე ქრისტიანული რუსეთი. საქმე აქ რელიგიაში არ არის. ირანიც მუსულმანურია, მაგრამ ის სასტიკი არ არის. აქ საქმე გვაქვს ცივილიზაციის განსხვავებულ საფეხურთან, რომელიც სისასტიკეში გამოიხატება. „კავკასიის ერთიანობის“ იდეა იმით არის მიუღებელი, რომ იგი ქრისტიანულ-ცივილიზაციურ საფუძველზე კი არ მოიაზრება, არამედ მუსულმანურ-შარიათულ საფუძველზე. ჯოხარ დუდაევის ყოფილი პრეს-მდივნის მოვლადი უდუგოვის განცხადებით, „ნებისმიერი მიუკერძოებელი ადამიანისათვის, რომელიც თუნდაც მცირედ იცნობს ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიას, ნათელია, რომ „იმარატ კავკაზის“ აღიარება ისტორიაზე დაფუძნებული მუსულმანური კავკასიის განაცხადს წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის, როცა კი მცირე შესაძლებლობა მაინც არსებობდა, ისლამის საფუძველზე ერთიანდებოდა“. ამ პერსპექტივამ სხვა თვალით უნდა შეგვახედოს რუსეთზე, რომელიც არის ჩრდილოკავკასიური სისასტიკის ერთადერთი შემაკავებელი ძალა და სტაბილიზაციის ფაქტორი რეგიონში.

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე.**

***რედაქციისგან:* ბატონი იომარ ხახაშვილის გულწრფელ წერილში ბევრი სადაო საკითხია განხილული. დარწმუნებული ვართ წერილში მოხმობილი ქართველი ექსპერტები და პოლიტოლოგები გამოგვეხმაურებიან.**

ინფორმაცია

## რუსი მეკობრეები აფხაზეთის აკვატორიაში

**ოფიციალური თბილისი აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში რუსეთის სასაზღვრო ძალების შესაძლო გამოჩენას „მეკობრეობად“ აფასებს.**

**— უპრეცენდენტოდ არაკანონიერი და ცინიკურია ის, რომ სუვერენული ქვეყნის წყლებში აგრესორი აპირებს შესვლას და იქ სიტუაციის მოწესრიგებას. თუ რუსეთის მხრიდან მსგავს ქმედებას ადგილი მართლა ექნება, ის ჩვენი მხრიდან შეფასდება, როგორც „მეკობრეობა“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებაზე კომენტირებისას, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ რუსეთი აფხაზეთის აკვატორიაში სასაზღვრო ძალებს გაგზავნის.**

**ამასთან, ჯალაღანიას განმარტებით, ტერიტორიულ წყლებში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით საქართველო სამართლებრივ ანალიზსაც ატარებს და შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ საკითხს არა მხოლოდ პოლიტიკური, სამართლებრივი შეფასებაც მიეცემა.**

**როგორც ცნობილია, სერგეი შამბამ ქართული მხარის მიერ ბოლო პერიოდში აფხაზეთიდან გამოსული, ან აფხაზეთში მიმავალი გემების დაკავება გააპროტესტა და განაცხადა, რომ გემებს მომავალში რუსეთი დაიცავს.**

## ჯალაღანია მედვედევს გონიერებისაკენ მოუწოდებს

**ოფიციალური თბილისი რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს „მეტი გონიერებისა და პრინციპულობის“ გამოჩენას ურჩევს. აღნიშნული რჩევა მედვედევმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიასგან ფედერაციის პირველი პირის მიერ ევროპის საპარლამენტო ასამბლეის გაკრიტიკების გამო მიიღო. შეგახსენებთ, რომ რუსეთს პრეზიდენტს ასამბლეის რეზოლუციაში ჩაწერილი ის პუნქტი არ მოეწონა, რომელშიც მეორე მსოფლიო ომზე საბჭოთა კავშირსა და ფაშისტურ გერმანიას ერთნაირი პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული.**

**„მაპატიეთ მაგრამ, ეს უბრალოდ ცინიკური ტყუილია“, — განაცხადა მედვედევმა „კვირის ამბებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

**აღნიშნულ კონტექსტში, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე მედვედევს ურჩევს, საღად შეაფასოს მოვლენები და თითოეულ ისტორიულ თეზისს პირად შეურაცხყოფად ნუ მიიღებს.**

**— მეორე მსოფლიო ომის გამომწვევ ფაქტორებზე უფრო ღრმად ისტორიკოსები იმსჯელებენ, თუმცა მას შემდეგ რაც სსრკ დაიშალა, ბევრი მოვლენა და გადაწყვეტილება სხვაგვარად შეფასდა და მომავალშიც იქნება მსჯელობა იმაზე, რომელ მხარეს რა პასუხისმგებლობა ეკისრება. ვისურვებდი, რუსეთის ლიდერს მეტი გონიერება და პრინციპულობა გამოეჩინა იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც მისი მმართველობის პერიოდში საქართველოს მიმართ განხორციელდა. ვურჩევ, საღად შეაფასოს მოვლენები და თითოეული ისტორიული თეზისი პირად შეურაცხყოფად არ მიიღოს, — განაცხადა დავით ჯალაღონიამ.**

ჯი-ეიჩ-ენი

**აქტუალური ინტერვიუ**

# იგორ იურგენსი:
# ძლიერი ჭკვიანიც უნდა იყოს...

## რუსებისა და ქართველების ურთიერთობების გათვალისწინებით ყველაფრის შემობრუნება შესაძლებელია



***რუსეთის რომელ ლიდერს, მედვედევსა თუ პუტინს მიუძღვის უფრო მეტი წვლილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაში, რამდენად სწორია მტკიცება, რომ პუტინმა ყველაფერი გააკეთა, რათა ახლად არჩეულ პრეზიდენტ მედვედევს სოხუმთან და ცხინვალთან დაკავშირებით ისეთი გადაწყვეტილებები მიიღო, რომ დასავლეთს მედვედევთან კარგი ურთიერთობები არ ჩამოყალიბებოდა; რა უფრო მოსალოდნელია, რუსეთის გარდაქმნა თუ ქვეყანაში დეზინტეგრაციული პროცესების დაწყება, ამ და სხვა საკითხებზე „ინტერპრესნიუსი" პრეზიდენტ მედვედევთან დაახლოებულ იგორ იურგენსს ესაუბრა, რომელიც თანამედროვე განვითარების იმ ინსტიტუტს ხელმძღვანელობს, რომელიც თავის დროზე თავად მედვედევმა დააარსა და ახლა ამავე ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობს.***

**— ბატონო იგორ, ერთი წლის წინათ კრემლმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. თქვენი აზრით, რუსეთის ორი ლიდერიდან, რომელს მიუძღვის უფრო მეტი წვლილი შარშან აგვისტოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საქმეში?**

— გულწრფელად ვამბობ, რომ მთავარი წვლილი მიუძღვის პრეზიდენტ სააკაშვილს. მე კავკასიისა და რუსულ-ქართული ორმხრივი ურთიერთობების საკითხებში დიდი სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ამ საკითხების გადაწყვეტაში ჩემი მოკრძალებული გამოცდილება მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ 2008 წლის ივლისისთვის რუსეთში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების არანაირი გეგმა არ არსებობდა.

მოსკოვში აქტიურად განიხილებოდა ამ რეგიონებში რუსეთის სამშვიდობო მისიისა და მოლაპარაკებების წარმოების გეგმები. მართალია, ეს მოლაპარაკებები ძალიან მძიმედ, ზოგჯერ ორმაგი ფსკერით მიმდინარეობდა, მაგრამ მოსკოვის სახელისუფლო წრეებში არ ვიცნობ ადამიანს, არც — საგარეო საქმეთა სამინისტროში, არც უშიშროების საბჭოში და არც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, რომელსაც ჰქონდა დავალება, ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების სასარგებლოდ ემოქმედა ან მხარს უჭერდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. რუსეთის სახელისუფლო და პოლიტიკურ წრეებში ეს თემა ტაბუდადებული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც შარშან აგვისტოში მოხდა, თქვენს კითხვაზე გიპასუხებთ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი მრავალგზის დააჩქარა თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

**— შარშან, ამ დროს დასავლური პრესა შენიშნავდა, რომ რუსეთის ლიდერთაგან ერთ-ერთს, კერძოდ მედვედევს კრიტიკულ სიტუაციაში უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანაში პირველი პირი და პუტინზე მამაცია. თქვენ იზიარებთ ასეთ მოსაზრებას?**

— როგორც ადამიანს, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული ქართულ-რუსულ ურთიერთობათა მოწესრიგების გარკვეულ მუშაობაში, შემიძლია ვთქვა, რომ 2008 წლის ივლისისთვის მოსკოვში არ განიხილებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებული საქართველოს საზღვრების გადახედვისა და საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვის რამენაირი გეგმა. საქართველოს ელჩ ეროსი კიწმარიშვილთან და სხვა საღად მოაზროვნე ქართველებთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, მე მქონდა პრეზიდენტ მედვედევთან ფორმალური და არაფორმალური კონტაქტები და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მედვედევს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ქონდა ჩამოყალიბებული. საუბარია რუსეთის სამშვიდობო როლის გააქტიურებასა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს აღიარებულ საზღვრებში კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაზე.

შეიძლება, ვცდებოდე ან გულუბრყვილო ვიყო, მაგრამ გეუბნებით იმას, თუ რა განწყობა ჰქონდა პრეზიდენტ მედვედევს აგვისტოში ომის დაწყებამდე. ჩემი აზრით, მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედებები დაიწყო, ვფიქრობ, მედვედევს სხვაგვარი მოქმედების უფლება არც ჰქონდა და არა მგონია, იგი იმაზე ფიქრობდა, როგორ წარმოჩნდებოდა საზოგადოების წინაშე. მაშინ მისი ამოცანა განსაცდელში აღმოჩენილი ადამიანების დაცვა იყო. ასე რომ, იგი სხვა რამეს, იმისგან განსხვავებულს ვერ გააკეთებდა, რაც გააკეთა.

**— პუტინის სოხუმისა და მედვედევის ცხინვალში სტუმრობის შემდეგ აფხაზური და სამხრეთოსური პრესა წერდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისკენ პუტინი დიდხანს, მაგრამ მიზანდასახულად მიდიოდა. ამბობენ იმასაც, რომ პუტინმა ყველაფერი გააკეთა, რათა მედვედევს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით კრემლში წინასწარ მომზადებული, დასავლეთისთვის მიუღებელი გადაწყვეტილებები მიეღო, რათა შემდეგ დასავლეთს მედვედევთან კარგი ურთიერთობები არ ჩამოყალიბებოდა...**

— ამგვარი რამ, კონსპიროლოგიის თეორიიდან არის. მე რომ კატეგორიულად ვთქვა, ეს ასე არ არის-თქო, თავს ჩავიგდებ იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელმაც არ იცის, რა ხდება ქვეყანაში; რომ ვთქვა, მეც ასე ვფიქრობ-მეთქი, არასერიოზულ ადამიანად ჩამთვლიან. იქ, სადაც მე ვიმყოფები — თანამედროვე განვითარების ინსტიტუტში, მონაწილეობა მაქვს მიღებული იმგვარ რუსულ-ქართულ კონსულტაციებში, რომლებშიც ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ ჭკვიანი და სერიოზული ადამიანები, რომლებმაც საკითხის ისტორია ჩემზე უკეთ იციან და შემიძლია, გავიმეორო — მე რუსეთის ხელისუფლებაში არ ვიცნობ არც ერთ ადამიანს, რომელსაც 2008 წლის ივლისამდე მიღებული ჰქონდა მითითება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისთვის პირობების შესაქმნელად.

მეტიც, მე მონაწილეობა მივიღე სტოკჰოლმის შეხვედრაში, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი, აგრეთვე — აფხაზები. მქონდა საუბრები სამხედროებთან, რომლებიც თავის დროზე აფხაზეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობდნენ და მქონდა შეგრძნება, რომ გამოსავლის პოვნა შესაძლებელი იყო. მართალია, მაშინ ყველაფერი მდორედ მიმდინარეობდა, მაგრამ ადგილებზე პროვოკაციების შემდეგ ნათელი იყო, რომ გარკვეული თამაში მიდიოდა ნერვების გამძლეობასა და მოთმინების გამოცდაზე. დარწმუნებით ვამბობ — 2008 წლის ივლისამდე რუსეთის პოლიტიკურ „ტუსოვკაში" აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესაძლებლობას საერთოდ არავინ განიხილავდა.

ჩემი აზრით, გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ სპონტანურად იქნა მიღებული. მისი მიღება დიდწილად განპირობებული იყო საქართველოსთან დაკავშირებით ვაშინგტონის აქტიურობით. რომ არა საქართველოს მიმართ აშშ-ს აქტიურობა, შესაძლოა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება არც შემდგარიყო.

**— რუსეთში თითქმის აღარ დარჩა ექსპერტი, რომელიც მოსკოვის ამ ნაბიჯის სასარგებლოდ დღეს ერთ არგუმენტს მაინც მოიხმობდა. თქვენ არ მიიჩნევთ, რომ მოსკოვს სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა არ უნდა ელიარებინა?**

— თავის დროზე მე ამ საკითხებში ზომიერი მიდგომის მომხრე ვიყავი. მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ, მოსკოვში გამარჯვების ეიფორია სუფევდა და ცხადი იყო, რომ სახელმწიფო სათათბიროს გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ამის გარდა, მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში არა ანტიქართული, მაგრამ ანტისააკაშვილისეული განწყობა იყო.

ვთვლიდი, რომ მაშინ მოსკოვს გარკვეული დრო უნდა დაეტოვებინა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულებაზე ფიქრი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სააკაშვილმა შეთანხმებიდან ამოიღო პუნქტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსებზე მსჯელობის დაწყების შესახებ.

**— უკაცრავად, ბატონო იური, სააკაშვილს სარკოზი-მედვედევის მიერ ხელმოწერილი შეთანხმებიდან ეს მუხლი არ ამოუღია. ქართული მხარის მიერ შეთავაზებული შესწორება სწორედ რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსის საერთაშორისო დონეზე განხილვის დაწყებას ითვალისწინებდა...**

— შეთანხმების იმ ვარიანტში, რომელიც მე ვნახე, ასეთი რამ საერთოდ არ იყო. ის პუნქტი რომ ყოფილიყო, შესაძლებელი იქნებოდა გამოსავლის ძიება, მაგრამ მე აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ ვმოღვაწეობ. მე არც სამხედრო პირი ვარ და - არც დიპლომატი, მაგრამ აგვისტოს მოვლენების შემდეგ პოლიტიკურ წრეებში ისეთი ვითარება იყო, რომ ჩემი აზრით, მოსკოვს სხვა გზა არ ჰქონდა ისეთი ინსტრუმენტის შესაქმნელად, რომელიც გამორიცხავდა საქართველოს მხრიდან ამ რეგიონებზე მორიგ აგრესიას. ვთვლი, რომ რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე გადაწყვეტილების მიღება, გარკვეულწილად, იჩქარა, არ ქონია კონსულტაციები ექსპერტთა ფართო წრეებთან, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გვერდიდან კრიტიკა იოლია, ხოლო გადაწყვეტილების მიღება — ძნელი.



**— ობამას მოსკოვში, ხოლო ბაიდენის კიევსა და თბილისში ვიზიტების შემდეგ უპასუხოდ დარჩა კითხვა — შედგა თუ არა ე.წ. გადატვირთვა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის?**

—გადატვირთვა შედგა. სხვადასხვა ინსტიტუტები მხარეებს შორის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ურთიერთობების გაღრმავებაზე მუშაობენ. მუშაობა მიმდინარეობს სტრატეგიული იარაღის შემცირების საკითხებზეც, რაშიც რუსეთი დაინტერესებულია. განისაზღვარა ადამიანთა წრე, რომლებიც ამ მიმართულებებზე მუშაობას კოორდინაციას გაუწევენ. დაგეგმილია მაღალი დონის კოორდინატორების — სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონისა და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის შეხვედრა.

რაც შეეხება ბაიდენის განცხადებებს. ბევრი ცდილობს, ბაიდენის განცხადებები მოსკოვში ობამას ვიზიტის დროს მიღწეული შეთანხმებების საპირწონედ წარმოაჩინოს ან მიიჩნიოს, რომ აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ელიტამ ხაზი გადაუსვა მოსკოვში მიღწეულ შეთანხმებებს. გარწმუნებთ, ამის მაგვარი არაფერი ხდება. ბაიდენის განცხადებების არსი ასეთია — თუ რუსეთი თავის ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სხვა პრობლემებს არ გადაწყვეტს, მის ნაცვლად ამას არავინ არ გააკეთებს. ამერიკა კი არ აწარმოებს ისეთ პოლიტიკას, როგორიც საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში გაატარა, ანუ ყველაფერი თავად რუსეთზეა დამოკიდებული. შესაძლოა, ბევრს არ მოეწონა გამოთქმული მოსაზრებების ფორმა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბაიდენი პირდაპირი ადამიანია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში ჩვენ ხშირად ვიყენებთ ამერიკის მისამართით დაუშვებელ გამონათქვამებს. არ ღირს ამ გამონათქვამებზე ყურადღების გამახვილება. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად შექმნილია ინსტიტუტები და ახლა ის დროა, დაველოდოთ შექმნილი სამუშაო ჯგუფების მოლაპარაკებების შედეგებს.

**— პუტინის 10-წლიანი მმართველობის შედეგები ამას წინათ მოსკოვში გამართულმა კონფერენციამ შეაჯამა. კონფერენციის მთავარი დასკვნა ასეთი იყო — რუსეთში არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება შეუძლებელია, რუსეთი უნდა გარდაიქმნას ან გაქრეს პოლიტიკური რუკიდან, ანუ უნდა დაიშალოს. რა უფრო მოსალოდნელია რუსეთის გარდაქმნა, თუ ქვეყანაში დეზინტეგრაციული პროცესების დაწყება?**

— მე უკეთესი მიმართულებით ცვლილებების იმედი მაქვს. ქვეყნის მოდერნიზაციაზე ყველა კლანის, პარტიის, გავლენის ჯგუფების წარმომადგენლები საუბრობენ. ამაზე მსჯელობენ როგორც კონსერვატიულ-ძალოვანი, ისე ლიბერალურ-პროდასავლური ფრთის წარმომადგენლები. ამიტომ მოდერნიზაციის იდეის ირგვლივ შეიძლება გაერთიანდნენ ისეთი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთს არ ელაპარაკებიან. ვინც ამ პროცესს ხელს შეუშლის, ქვეყნის ისტორიული განვითარებას წინ აღუდგება. ვფიქრობ, რომ ასეთ რისკს თავის თავზე არავინ არ აიღებს.

მოდერნიზაციის იდეის ირგვლივ იდეოლოგიურად დაპირისპირებული ადამიანების დაკავშირება ჩვენი ინსტიტუტის ზრუნვის საგანი და ამოცანაა. ამ მიმართულებით ჩვენ საზოგადოებას არა ერთ საინტერესო პროექტს შევთავაზებთ.

**— გასაგებია, რომ რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა პოლიტიკური პროცესის შემობრუნება, თუ უკვე ყველაფერი გარკვეულია?**

— რუსებისა და ქართველების ურთიერთობების გათვალისწინებით, ყველაფრის შემობრუნება შესაძლებელია. ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში შემოვაბრუნებთ კიდეც. რაც შეეხება სახელმწიფო საზღვრებს და აღიარებას, დაღვრილი სისხლის შემდეგ, ამას მეტი დრო დასჭირდება, მაგრამ ხომ გაგიგონიათ — არასოდეს არ თქვა, — არასოდეს.

ეს უამრავ ფაქტორზე და კეთილი ნების ადამიანებზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ თქვენთან ერთად ისეთ ქვეყანაში დავიბადეთ და გავიზარდეთ, როცა ოფიციალური პროპაგანდა გვასწავლიდა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთთან საქართველოს მეგობრობისა და ნებაყოფილობით შეერთების მაგალითი იყო. ახლა ჩვენ ვგებულობთ, რომ ამ პროცესს მშვიდად არ ჩაუვლია. ასე იყო, თუ ისე, ძალიან დიდი დროის მონაკვეთში რუსები და ქართველები ურთიერთსარგებლობისა და ორმხრივი სიამოვნების ვითარებაში ცხოვრობდნენ. თუ ვინმე მეტყვის, რომ ჩემი დაბადების დღიდან (მე 1952 წელს დავიბადე), ვიდრე საბჭოთა კავშირი არ დაიშალა, ანუ 1991 წლამდე, ეს ასე არ იყო, მე მას დუელში გამოვიწვევ. ჩვენ ერთ ოჯახში ვცხოვრობდით და ეს სასარგებლო იყო როგორც ქართველებისთვის, ისე რუსებისთვის. აღარაფერს ვამბობ კულტურათა, ლიტერატურათა და ოჯახების კავშირებზე.

მე ვსაუბრობ იმაზე, რომ არაფერი არ არის მარადიული. გეორგიევსკის ტრაქტატით დაწყებული მეგობრობა ჩვენ ისეთ ომად ვაქციეთ, რომლის წარმოდგენა მე ერთი წლის წინათ, ცუდ სიზმარშიც არ შემეძლო. დარწმუნებული ვარ, ჩვენ კვლავაც შეგვიძლია მშვიდობით თანაცხოვრება.

**— უკაცრავად, ბატონო იური, მაგრამ იძულებული ვარ შეგახსენოთ, რომ რუსეთს, 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის არც ერთი მუხლი არ შეუსრულებია. მეტიც, 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფო საერთოდ გააუქმა, ხოლო ერთმორწმუნე რუსეთის**

***გეორგიევსკის ტრაქტატით დაწყებული მეგობრობა ჩვენ ისეთ ომად ვაქციეთ, რომლის წარმოდგენა მე ერთი წლის წინათ, ცუდ სიზმარშიც არ შემეძლო. დარწმუნებული ვარ, ჩვენ კვლავაც შეგვიძლია მშვიდობით თანაცხოვრება.***

**მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა... გავაგრძელო?**

— დღევანდელი პროპაგანდით, რუსები და ქართველები ანტიგეორგიევსკის ტრაქტატის რეჟიმში, მტრობაში, უნდობლობასა და გაუგებრობაში იმის გამო ვცხოვრობთ, რომ რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და, შესაბამისად, რუსეთთან მშვიდობა აღარ იქნება. ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც საბჭოთა ისტორიოგრაფიის შესრულებით გეორგიევსკის ტრაქტატზე საბჭოთა ოფიციალური პროპაგანდა.

ვიცი, რის გამო და როგორ იჭერდა რუსეთის იმპერია ქართველ მეფეებს, მაგრამ ძლიერის უფლება არავის არასდროს არ გაუუქმებია და არც ახლა არ გააუქმებს, სასურველია, რომ ძლიერი ჭკვიანიც იყოს.

**კობა ბენდელიანი**

◎ კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...

# ნაცებმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლეს?!

## ანუ როგორ აარიდეს „პაკაზატელის" გაფუჭება შაშკინის უწყებას და როგორ გაზარდეს ფაქტობრივად გარდაცვლილი პატიმრით პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა სია

დაინტერესებულ მკითხველს უსათუოდ ემახსოვრება ა. წ. 19 მარტს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული ჩემი წერილი — „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ", რომელიც ამ ორმოციოდე წლის წინათ გარდაცვლილი შოთა სალუქვაძის ხსოვნას მივუძღვენი, კაცისა, ვისი სახელიც კარგად იყო ცნობილი იმდროინდელ თბილისსა თუ მთელს საქართველოში.

ბუნებრივია, რომ იმ წერილში შოთას მშობლები და მისი სამეგობროც ვახსენე, ხოლო წერილის დაწერის მთავარი მიზეზი ბოლოს გავუმხილე მკითხველს, რასაც ამჯერად ამ წერილის დასაწყისში მოვიყვან.

„ამ წერილის დაწერას გარდა იმ კაცის პატივის მოგებისა, ვისი



ანანია სალუქვაძე

სიცოცხლეც ჩვენთვის, ანანიასთვის და მისი სამეგობროსთვის შოთას გარდაცვალების შემდეგ დაიწყო, კიდევ ერთი, „მზაკვრული" მიზეზიც აქვს — თუ ვინმეა დარჩენილი შოთა სალუქვაძის მეგობრებიდან, იქნებ ეს ამბავი გულს მოხვდეთ და ხელი გამოილონ, რათა შოთას ერთადერთი ვაჟი, მისი სავალალო ჯანმრთელობის გამო, სასიკვდილო საფრთხისგან იხსნან".

სამწუხაროდ იმ წერილის „მზაკვრული" ფინალი დარჩა „ხმად მღაღადებლისად" — ან აღარავინაა ცოცხალთა შორის შოთას მეგობრებიდან, ან თუ არიან, ვერ გაიგეს, ან თუ გაიგეს...

ერთი სიტყვით, მიზეზთა ჩხრეკა ახლა უაზრობაა, რადგანაც, ვაი რომ, ჩემი „წინასწარმეტყველება" გამართლდა — შოთას შვილი და ჩემი სიყრმის მეგობარი ანანია სალუქვაძე გარდაიცვალა.

ე. წ. „რესბალნიციდან" 25 აგვისტოს პრაქტიკულად მკვდარი გადაიყვანეს ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც მეორე დღეს მისი ბიოლოგიური სიკვდილი დაფიქსირდა. **გარდაცვალებამდე ზუსტად 15 წუთით ადრე „იქიდან" დარეკეს ინფექციურში — ბადრაგი მოხსენით, პრეზიდენტმა შეიწყალაო!.. ამ გაუგონარი ცინიზმით „ვიღაცამ" ორი კურდღელი ერთად მოკლა — პირველი, შაშკინის უწყებას არ გაუფუჭდა „პაკაზატელი" და მეორე, მიშას მიერ შეწყალებულთა სია ერთი კაცით გაიზარდა.**

როდესაც ეს ამბავი ანანიასთვის „უხარებიათ" — ბიჭო, გაგათავისუფლესო! — სულთმოზრძავს სიმწრით გაუღიმია და უთქვამს — „მე ისედაც თავისუფალი ვარ, მივდივარო". და ეს ყოფილა მისი უკანასკნელი სიტყვები!..

გასულ შაბათს მივაყარეთ მიწა ჩვენს მეგობარს საბურთალოს სასაფლაოზე. მეგობრებმა, ნათესავებმა, როგორც შევძელით, ისე მივაგეთ უკანასკნელი პატივი ანანია სალუქვაძეს, რომელიც სხვებთან ერთად შოთას მეგობრებმაც, 86 წლის ლევან ჭაჭიაშვილმა და ვოვა მატინოვმა, გურამ (ლორთქიაძ ლორთქიფანიძის მეუღლემ ქალბატონმა მედეამ გააცილეს. ტელეფონით დაგვიდასტურეს მწუხარების თანაზიარობა შოთას მეგობრებმა, რეზო ამაშუკელმა, გიზო ნიშნიანიძემ, გურამ (კოიაძ გომართელმა, რომლებმაც მიზეზთა გამო ვერ შეძლეს მოსვლა.

ჭირის სუფრას შესანიშნავად გაუძღვა ზაზა აბაშიძე, შოთა სალუქვაძის უპირველესი ძმაკაცის, დოდო აბაშიძის შვილი, იმ დოდოსი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე პატრონობდა ანანიას.

„დიდი მამა-პაპის ღირსეული შთამომავალი, თეატრმცოდნე, ნიჭიერი პოეტი, პროზაიკოსი. ამ მხრივ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი. სამაგიეროდ თბილისში ცნობილი თავისი კაცობით, ნაღდი ქალაქელი, ვერელი, ყველასთვის საყვარელი



შოთა სალუქვაძე

კაცი და არა მხოლოდ ჩემი თაობისათვის"...

ასე ვწერდი ლიტერატურულ ჟურნალ „ხელეურში", სადაც წარვადგინე ანანია სალუქვაძის მოთხრობა „ურეცენზიო ვოდევილი", რის შესახებაც იცოდა ჩემმა ძმობილმა, მაგრამ საკუთარი თვალით ვერ იხილა დაბეჭდილი. მოთხრობა, რომელიც ბედის ირონიით ციხის ცხოვრებაზე არის დაწერილი. იმ ციხისა, რომლის კარები საით იღებოდა, არ იცოდა და სწორედ ამის გამოა გასაკვირი ის ოსტატობა, როგორითაც ავტორი მოგვითხრობს.

მომავალში, იმავე ჟურნალით მივაწვდი მკითხველს ანანია სალუქვაძის რამდენიმე ლექსს და როცა იქნება, იქნებ მისი ბოლომდე დაუხარჯავი ნიჭის ნაჟურის ცალკე წიგნად გამოცემაც შევძლო. მანამდე კი...



ანანია (უმცროსი) სალუქვაძე

### „და დღეს შოთაის ნაქონი სისხლით"

ამიერიდან აღარასოდეს გაივლიან თბილისის ქუჩებში სალუქვაძეების ამ შტოს წარმომადგენელი მამაკაცები, რადგანაც ანანიათი დამთავრდა ეს შტო: მისი პაპა და სეხნია, ასევე მწერალი, პუბლიცისტი, 1918 წლის დამფუძნებელი კრების წევრი დიდი ანანია სალუქვაძე ბოლშევიკების რეპრესიებს ემსხვერპლა; შოთა სალუქვაძეს კომუნისტებმა გაუხეთქეს გული; ხოლო ამ ოჯახის ბოლო მამაკაცს, ბოლშევიკების იდეურმა მემკვიდრეებმა, ამათმა ნულოვანმა ტოლერანტობამ და ნაცების რეპრესიულმა აპარატმა მოუღო ბოლო.

დავით მხეიძე

***P. S.* და ბოლოს დიდის მოკრძალებით ვთავაზობ მკითხველს ანანია სალუქვაძის ერთ ლექსს, რომელიც მან დაპატიმრებამდე ჩემთან სტუმრობისას უსათაუროდ, ექსპრომტად დაწერა.**

**გაიხსნა ძველი ჭრილობა,**
**ვერ გავუფრთხილდით იარებს.**
**ცრემლი, სისხლი და გოდება**
**შიგ სულში დაატრიალეს.**
**მზე ფითრდებოდა, ქრებოდა,**
**თურმე არწივი კვდებოდა,**
**ყორნებს სვავები მიემხრნენ,**
**გმირი კვლავ მარტო რჩებოდა.**
**არავინ იცის, რა ხდება**
**ან კიდევ რა მოხდებოდა,**
**ჩვენი ცხოვრება ტიალი,**
**უკუღმა ტრიალდებოდა.**
**ბავშვი, ქალი და მოხუცი,**
**არავის ეცოდებოდა,**
**ვაი, რა ჟამი დაგვიდგა**
**ძმაკაცი გვენატრებოდა!**
**მამა-პაპათა საფლავი**
**ბალახით იფარებოდა,**
**ნაკადულები მთებიდან**
**სულ სისხლით ფერადდებოდა.**
**„უშიშო ვითარ უხორცო",**
**კაცი ბრძოლაში კვდებოდა.**
**ბედის ვარსკვლავი იწვოდა,**
**მთვარე უკუღმა დგებოდა...**
**მზე ფითრდებოდა, ქრებოდა,**
**მყინვარზე თოვლი დნებოდა,**
**ბედი ქართველი კაცისა**
**არავის ედარდებოდა!**

◎ მზიურიდან — მზიურ სულეთში



# მთაწმინდა გულში იხუტებს...

**ჩვენი გაზეთის 28 აგვისტოს ნომერში მკითხველს გავაცანით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სურვილი — დიდი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ნეშტის ბავშვთა ქალაქ „მზიურიდან" მთაწმინდის პანთეონში გადასვენების შესახებ.**

**ნოდარ დუმბაძის პიროვნება და შემოქმედება იმდენად საყვარელი და მახლობელია ქართველი ხალხისთვის, რომ ერის სულიერი მამის სურვილს, ბევრი დაეთანხმება. საინტერესოა, რას ფიქრობენ ნოდარ დუმბაძის უახლოესი ადამიანები?.. გვესაუბრება მწერლის თანამეცხედრე ქალბატონი ნანული გუგუნავა:**

**— უწმინდესმა და უნეტარესმა ეს სურვილი ჯერ კიდევ შარშან, ნოდარის დაბადების 80 წლისთავზე „მზიურში" ყოფნისას გამიმხილა, ქალბატონო ნანული, რა უნდა ნოდარის საფლავს აქ, მისი ადგილი მთაწმინდაზეაო... ახლა, კი, ამ ცოტა ხნის წინათ, ღამის 11 საათზე მირეკავენ, უწმინდესსა და უნეტარესს სურს თქვენთან დალაპარაკებაო. გავშეშდი მოულოდნელობისგან. მოკითხვის შემდეგ უწმინდესმა მითხრა, თქვენ თანახმა იქნებით, რომ ნოდარის ნეშტი მთაწმინდაზე გადავასვენოთო?.. თუ თქვენი სურვილია და ქართველი ხალხი რასაც ინდომებს, ჩვენც იმას დავეთანხმებით-მეთქი.**

**ჰოდა, აი, როგორც შევიტყვე, 14 სექტემბერს, მისი გარდაცვალების დღეს, აპირებენ გადასვენებას... სხვათა შორის, 14 რიცხვი საკრალურია ნოდარისთვის. 14 ივლისს დაიბადა, 14 ოქტომბერს მოვაწერეთ ხელი, 14 ოქტომბერს ჩაუშვეს წყალში გემი „ნოდარ დუმბაძე"... ასეა...**

— დიდი მადლობა ქალბატონო ნანული... ამ შემთხვევაში ხმა ღვთისა და ხმა ერისა თანხმიერია და კიდევ ერთ ღირსეულ ერისკაცს ჩაიხუტებს გულში მთაწმინდა.

ესაუბრა
ვილენ მარდალეიშვილი

◎ ინფორმაცია

### „მოსკოვსკი" ცხინვალში და რუსეთის ზღვარგადასული ცინიკოსობა

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის ცხინვალში დაგეგმილ ვიზიტს „საერთაშორისო სამართლის დარღვევად" აფასებს.**

**— ცხინვალში დაგეგმილია დასახლება „მოსკოვსკის" გახსნა. მსგავსი ქმედებები რუსეთის საგარეო პოლიტიკისთვის ჩვეულია, თუმცა ის საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს. დასანანი და ცინიკურია, რომ დამპყრობელი მის მიერ ოკუპირებულ რეგიონში ერთ-ერთ უბანს საკუთარი დედაქალაქის სახელწოდებას არქმევს, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ.**

**მისივე განმარტებით, მსგავსი ცინიკური ფაქტი მსოფლიო ისტორიაში არ მოიპოვება, რითაც რუსეთი ორიგინალურია.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით ქართული მხარე მკაცრ პროტესტს გამოთქვამს და საერთაშორისო თანამეგობრობას მსგავსი ფაქტების აღკვეთის აუცილებლობას შეახსენებს.**

### კოკოითს მადა გაეხსნა



**ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთთან საკავშირო რესპუბლიკის შექმნა სურს, მაგრამ მის შემადგენლობაში შესვლას არ აპირებს. ეს განცხადება კოკოითიმ ჟურნალ „იტოგისათვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.**

**— რუსეთთან ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბებს გვსურს, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთში მაცხოვრებელ ოსებს ერთმანეთის გამყოფი საზღვრები არ გააჩნდეთ. ჩვენ გვსურს რუსეთთან საკავშირო სახელმწიფოში შესვლა. თუმცა ჩვენი რესპუბლიკა არ არის მზად დამოუკიდებლობაზე თქვას უარი, — განაცხადა ედუარდ კოკოითიმ.**

**მისივე განმარტებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთთან კავშირი სურს „დაახლოებით ისეთი, როგორიც რუსეთს ბელორუსთან აქვს".**

**მოსკოვთან საკავშირო რესპუბლიკის შექმნის თაობაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ედურად კოკოითის სურვილს ოფიციალური თბილისი პასუხობს.**

**— ეს განცხადება კოკოითიმ რუსი პატრონების სიამოვნებისთვის გააკეთა. თუმცა აღსანიშნავია, რომ იგი თავისსავე განცხადებებში ხშირად იბნევა და უკუშედეგს იღებს. ამდენად, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ კოკოითის ყოველი ასეთი განცხადება და ბოდვა სერიოზულად შევაფასოთ, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ.**

ХО-ЭИВ-ЭНО

## ინფორმაცია

### განათლების კვირეული ლეიბორისტულად

ლეიბორისტულმა პარტიამ განათლების სისტემაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად განათლების კვირეულის მოწყობა დაიწყო. ისინი განათლების სისტემაში შეტანილ ცვლილებებს პროტესტს უცხადებენ.

„განათლების სისტემაში შექმნილი საშინელი სიტუაციიდან გამოსვლის გზების მოძებნის მიზნით, ჩვენ შევქმენით განათლების კვირეული, რომელშიც პროტესტის სხვადასხვა გზებით გამოხატვა შედის. სოროსის მიერ მოწყობილი რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც კახა ლომაიასთან ერთად განათლების სისტემაში საშინელი ცვლილებები შეიტანა. ამ ყველაფერთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა განგაშის ზარები უნდა ჩამოკრას. საქართველოში მცხოვრებ 50% მდე ბავშვს ელემენტარული წერა-კითხვის შესწავლის საშუალება არ აქვს. საქართველოს ყველა რეგიონში 3174 სკოლა არსებობდა, წლევანდელი მონაცემებით 2178 სკოლაა დარჩენილი. დახურულ სკოლათა შენობების უმრავლესობა ჩვენმა ხელისუფლებამ ჩინოვნიკებს გადასცა. ყველაზე დიდი კაპიტალი სახელმწიფოში ინტელექტია. ამ კაპიტალის განვითარებას კი ჩვენი ხელისუფლება ეწინააღმდეგება, თუ განათლების სისტემაში ასეთ უმსგავსობას ბოლო არ მოეღება, ჩვენ დასახმარებლად იუნესკოს მივმართავთ, — განაცხადა ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ.

### „ბარამბო" ქართულ-ბელგიურ შოკოლადს გვპირდება

წლის ბოლოს ბაზარზე საქართველოში წარმოებული შოკოლადი გამოჩნდება. ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქართულ-ბელგიური საწარმო უკვე ხუთ თვეზე მეტია ნატახტრის მახლობლად შენდება. ამჟამად მშენებლობაზე 200-მდე ადამიანი მუშაობს, ქარხნის ამოქმედების შემდეგ კი 150-მდე ადამიანის დასაქმება იგეგმება. შპს „ბარამბო" მაღალი ხარისხის ნაწარმს გამოუშვებს, რომლის გატანაც მომავალში ექსპორტზე იგეგმება. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას სოფლის მეურნეობის მინისტრი პირადად გაეცნო. ბაკურ კვეზერელის თქმით, ეკონომიკურად რთულ პერიოდში ასეთი საწარმოს მშენებლობა დიდი წარმატებაა.

### „რაულს" ვორონეჟში არ გაუმართლა

რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ ვორონეჟში სამართალდამცავებმა ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს.

ვორონეჟის სამართალდამცავების განმარტებით, დაკავებულია 1964 წელს დაბადებული, ქართველი ეროვნების „კანონიერი ქურდი" მეტსახელად „რაული".

სამართალდამცავები ამტკიცებენ, რომ „რაული" ვორონეჟში სარატოვიდან — ჩავიდა და მის მიზანს ეთნიკური დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა წარმოადგენდა.

დაკავებისას მას 11 გრამი ჰეროინი უპოვეს, რის გამოც 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

„ექსპრესნიუსი" და ჯი-ეიჩ-ენი

## ერი და ბერი

# საქართველო უკვდავია,

***ქრისტიანული მოძღვრება უმაღლეს სათნოებად მიიჩნევს ადამიანის თავდადებას ღვთის, სამშობლოსა და მოყვასის მიმართ. ამ ყველაფრის საფუძველს სიყვარული წარმოადგენს. ქართველი ადამიანი სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული; ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენ წილად გვხვდა ჩვენი სამყაროს უდიდესი სიწმინდე, უკერველი კვართი ქრისტესი, რომელიც განუყოფელი ეკლესიის სიმბოლოა, რომლის სწავლებასაც ოცი საუკუნეა შეურყვნელად იცავს ქართველი ერი.***

ქართველებს ხშირად გვავიწყდება ჩვენი ღირსეული წარსული, მამა-პაპათა ძვლები და საფლავები. მუდამ უცხო ქვეყანას შევყურებთ იმედის თვალით, სხვისგან ველით შემწეობას და ლუკმაპურის მოიმედე ვართ, მაგრამ ქვეყნის ხსნა, გადარჩენა ჩვენივე ქვეყანაში, ერთმანეთში უნდა ვიპოვოთ. 2007 წლის 7 ოქტომბერს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა: „დღეს მსჯელობა მიდის, თუ როგორი უნდა იყოს საქართველო, ვისი მეგობარი უნდა გახდეს ან ვისთან უნდა იყოს დაახლოებული. ამასთან, ძალიან ხშირად სხვა ქვეყნები გვკარნახობენ, თუ რა უნდა ვაკეთოთ. ზოგი გვეუბნება, რომ საქართველო უნდა იყოს საპრეზიდენტო ქვეყანა, ზოგი ამბობს — არა, სჯობს საქართველო საპარლამენტო ქვეყანა გახდესო და ა. შ. ეს სხვების გადასაწყვეტი არ არის, ეს არის ქართველი ერის და საქართველოში მცხოვრები ხალხის გადასაწყვეტი".

ქართველობა მუდამ იცავდა მამულსა და სარწმუნოებას. ეს ალბათ ასე დაგვიდგინა განგებამ. რადგან, ღვთის ნების გარეშე ამ ქვეყანაზე არაფერი ხდება. განა ღვთის დიდი მადლი და წყალობა არაა ასეთი მშვენიერი მამული, ქართული ენა, მართლმადიდებლური სარწმუნოება, ასეთი სულიერი განძი, კულტურა, საეკლესიო გალობა, ქართული ფოლკლორი... ეს ყველაფერი აოცებს და აღაფრთოვანებს მსოფლიოს, ამას გაფრთხილება და მოვლა სჭირდება...

ფსალმუნში ვკითხულობთ: „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით". ეს ის სანუკვარი მდგომარეობაა ერისა, რომელსაც თითოეული ქართველი ფიქრობს. ისრაელის მეორე მეფის, წმინდა დავით მეფსალმუნის ამ საოცარ სიტყვებში იგულისხმება როგორც ფიზიკური ძალა, სიმშვიდე ადამიანის გონებასა და გულში და ამასთანავე, იგულისხმება მშვიდობა თითოეული ადამიანისა, მშვიდობა ქვეყანასა ზედა.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ერთი ინგლისელი ექიმი ეწვია ურთულესი ოპერაციების ჩასატარებლად. წასვლისას მას ჰკითხეს, რას იტყვი საქართველოზეო, მან აღნიშნა: „მე მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ხალხი არსად შემხვედრია. თქვენ ქართველები — ყველაფერს გულით აკეთებთო". თუ დავფიქრდებით, ასეცაა, ჩვენი მამოძრავებელი ძალა სიყვარულია, რადგან ჩვენი გული სიყვარულის საბრძანისია.

საუკუნეთა მანძილზე საქართველო გადაარჩინა მოყვასის, ღვთისა და მამულისადმი თავდადებულმა ქრისტიანულმა სიყვარულმა. რისი მაგალითიც უამრავია ჩვენს მატიანეში. როგორი იქნება ჩვენი ხვალინდელი დღე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არჩევანს გავაკეთებთ მომავალში, მივილებთ ბოროტის მიერ შემოთავაზებულ მოჩვენებით სიყვარულსა და ცრუ ღირებულებებს თუ ცოდვებსა და სიყვარულზე გამარჯვებული უფლის მხარეზე დავდგებით.

**„რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმული ქრისტესათვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლისმთხეველნი მამულისათვის რამ გვაცოცხლა, რამ გვასულიერა?..... ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა. ეს სიტყვები წმინდა ილია მართალს (ჭავჭავაძე) ეკუთვნის...**

იგი ამასათანავე აღნიშნავდა: „დღეს სხვა ომია, ომი წიგნისა და ცოდნის, ცოდო არ არის ცეცხლსა და მახვილში გამოტარებული ქართული დროშა ჩრჩილმა და მატლმა შეჭამოს"?

ჩვენი ცხოვრება მრავალი განსაცდელით, ტკივილით და ხიფათითაა სავსე, მაგრამ ვინაიდან ეს ერი არ კარგავს იმედს უფლისა, უფალი მას აღადგენს და რასაკვირველია გააბრწყინებს. სწორედ ეს არის ივერიის აღდგომის, ივერიის გაბრწყინების დღესასწაული. მიუხედავად ფიზიკური თუ სულიერი განსაცდელებისა, არ უნდა დავკარგოთ რწმენა, სასოება და სიყვარული უფლისა, უფალი კი გადაგვარჩენს!

**„რაც სულია სხეულისათვის, ეკლესია ისაა ერისთვის, როცა სული სხეულს შორდება, სხეული კვდება, ასევეა ერიც ეკლესიის გარეშე". ეს სიტყვები უწმინდესსა და უნეტარესს ეკუთვნის.**



კაცობრიობის წინაშე მუდამ იდგა საკითხი, თუ რა არის ადამიანი, როგორია მისი ცხოვრება, საიდან მოვიდა და საით მიდის იგი? ინტერესი დღესაც ამ საკითხის მიმართ არ შენელებულა. მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი ილია II 1978 წლის ერთ-ერთ ქადაგებაში აღნიშნულ საკითხს ასე აფასებს: „ადამიანი არის არსება, რომელიც შექმნა ღმერთმა ხატად და მსგავსად თვისა; ადამიანი არის არსება, რომელიც ცხოვრობს დედამიწაზე; ადამიანმა უნდა გაიაროს განსაცდელი დედამიწისა და წარდგეს წინაშე ღვთისა. მაშასადამე, მიზანი ადამიანის ცხოვრებისა ყოფილა მიახლოება ღმერთთან. ღმერთთან და კიდევ... მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან".

ტოლერანტობა ჩვენი ბუნებიდან მომდინარეობს და მისი სწავლა არასოდეს დაგვჭირვებია. ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევების მიზეზიც სიყვარულიდან მომდინარეობს. მათ ღმერთის ყოვლისმომცველ სიყვარულში შეეპარათ ეჭვი და რადგან შემოქმედის მცნება დაივიწყეს და ეშმაკს დაუჯერეს, ისინი თვითონვე მოაკლდნენ საღვთო სიყვარულს, რაც უფალთან მათ ერთობას განაპირობებდა. დაცემულ მდგომარეობაში მყოფნი უკვდავების ხის ნაყოფის შეჭმით მარადიულად რომ არ წარწყმედილიყვნენ, უფალმა განარიდა თავის სამყოფელს.

მაცხოვარმა განკაცებით დედამიწაზე ის სიყვარული მოიტანა, რომლის მსგავსიც მანამდე არ იცოდა კაცობრიობამ და რომელთანაც თანაზიარებით მოგვეცა სამოთხეში დაბრუნების შესაძლებლობა.

საქართველო დღეისათვის ბევრი რამის ნაკლებობას განიცდის, მაგრამ სამწუხარო ის გახლავთ, რომ სიყვარული გვაკლია, სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, რაც რწმენის დაკარგვის, ურთიერთშორის უნდობლობის დამკვიდრების მთავარი შედეგია. ქართველი ერი გაორებას განიცდის, კაცი მორწმუნეს უწოდებს თავს და ისეთ საქმეს სჩადის თავისი ქვეყნის, ერისა და მოყვასის მიმართ, რომ გაოცებას იწვევს. განა ესაა ჩვენი ქრისტიანობა? აი, ჩვენი ცოდვით დაცემული ადამიანური ბუნების გამოვლინება! წმინდა ეფრემ ასურის ლოცვაში ვკითხულობთ: „მომგვანიჭე ჩვენ განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა". აქვს ქართველობას განცდა ამ ცოდვათა? „ჩვენ გვაქვს განცდა ცოდვათა, მაგრამ სხვათა ცოდვათა".

ერთმანეთის მიმართ შურმა, ბოღმამ და ურთიერთგათიშულობამ დაისადგურა თითოეული ჩვენგანის გულებში. „შურიანი კაცი სხვის უბედურებას საკუთარ ბედნიერებად მიიჩნევს, სხვის კეთილდღეობას კი საკუთარ წარუმატებლობად", აღნიშნავდა რამდენიმე საუკუნის წინათ წმინდა მამა, იოანე ოქროპირი.

**ურთიერთგათიშულობის პრობლემას იმდროინდელი ქართველების შესახებ წმინდა ილია მართალი რამდენიმე ათწლეულის წინ შეეხო: „დავიშალენით, გავითიშენით, დავცალკევდით იმერლებად, მესხებად, ქართლელებად, მეგრელებად, კახელებად, ჩვენი მხოლოდ ჩვენი კუთხენი გვახსოვს ერთიანი ერი კი დაგვავიწყდაო, ასეთ დაყოფას სარწმუნოებრივი სისუსტეც იწვევს, რადგანაც ეშმაკი ძლიერია მცირე სარწმუნოების მქონე ადამიანთან".**

ქართველი ადამიანის გული რომ მოსიყვარულეა, ეს ქართული სუფრის ტრადიციაშიც აისახება. ქართული სუფრა ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური საშუალებაა. იგი დალოცვაა, რომელიც უფლის სადიდებელით იწყება, იგი მიუთითებს ღრმა სულიერებაზე, იქ გარდაცვლილთა მოხსენიებაც ხდება. სუფრა ადამიანთა თანადგომის, ჭირისა და ლხინის გაზიარების ადგილია, სადაც უფალი მყოფობს, ამიტომაც პურობა იწყება და მთავრდება ლოცვით. ყველა ერს ღვთისაგან აქვს მიმადლებული სხვადასხვა მადლი. საინტერესოა, როგორ გამოიყენებს ამას ხალხი. ქართველი ადამიანიც ხომ დიდი სიყვარულის გრძნობითაა დაჯილდოებული. ქართველი კაცისთვის სამშობლო — ერთად ყოფნის ბედნიერებაა, მოყვასის სიხარულსა და ტკივილში თანამონაწილეობა. სტუმრის ღვთის კაცად ჩათვლა და მიმტევებლობაა. დღეს ბევრს ავიწყდება, რომ სამშობლო დიდი პასუხიმგებლობაც არის. სამშობლო უპირველესად გულისხმობს სიყვარულს. სიყვარული უპირველესი მცნებაა უფლისა. ახალ აღთქმაში უფალი ბრძანებს: „ღმერთი სიყვარულ არს". (I იოანე. 4.8ძ

პავლე მოციქულიც იგივეს ბრძანებს, რომ თუ სიყვარული არ გვაქვს, ფუჭია ქველმოქმედებაც, სასწაულთმოქმედების უნარიც, მოსაგრეობაც, თვით მოწამეობრივი აღსასრულიც კი, რადგან უსიყვარულოდ ყველა სიკეთე უქმ იქმნების.

ამჟამად, ის პერიოდია საქართველოში, როდესაც უცხო ქვეყნიდან სხვადასხვა მოძღვრება მოედინება უწყვეტ ნაკადად, მაგრამ ქართველმა ერმა უნდა გაარჩიოს და დაინახოს თუ რაა ჩვენთვის მისაღები, სასარგებლო, რა უნდა მივიღოთ, რა არ უნდა მივიღოთ, რა უნდა გავითავისოთ. უნდა გავარჩიოთ შავი და თეთრი, კეთილი და ბოროტი, რას მივყავართ ცათა სასუფევლამდე და რას ჯოჯოხეთამდე.

საქართველო ხომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. „არც ერთ სხვა ქვეყანას არ აქვს მსგავსი პატივი, მხოლოდ საქართველო არის წილხვედრი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა". აბა დავაკვირდეთ, ტაძრების უმრავლესობა ხომ დედა ღვთისმშობლის სახელზეა აშენებული. თუ ჩვენს მატიანეს გადავხედავთ, დავინახავთ ძლიერ კვალს დედა ღვთისმშობლისა, მას მრავალჯერ უხსნია ჩვენი ქვეყანა განადგურებისაგან. პატრიარქი 2007 წლის 21 სექტემბრის დიდუბის, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო მსახურებისას, ქადაგებაში ამბობდა: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ვართ მამული და წილხვედრი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და თუკი გვექნება მტკიცე რწმენა და თუ გვექნება სიყვარული და სასოება, იმედი და ამასთან ერთსულოვნება, მტერი ვერაფერს დაგვაკლებს".

საღმრთო წერილში ვკითხულობთ: „გული წმინდაი დაჰბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა". კეთილი და ბოროტი აზრი ადამიანის გულიდან ამოდის. ცნობილი ფიზიოლოგი პავლოვი გულს დიდ გონებას უწოდებდა. იგი მეტად განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი

ერი და ბერი

# როგორც კვართი უფლისა!

ორგანოა ადამიანისა. ჩვენ, ადამიანებმა შეიძლება დავუშვათ შეცდომები, რომლებსაც ადრე არ ვუშვებდით, მაგრამ არავინ იცის ჩვენი გულისზრახვანი, თუ რა სუფევს ჩვენს გულში. სწორედ ამიტომ უფალი ადამიანისაგან „გულს შემუსვრილს“ მოითხოვს ჩვენგან. ადამიანის გული კარია, საიდანაც კეთილი და ბოროტი როგორც შედის, ასევე გამოდის, თუ გვსურს სულის განწმენდა, უპირველესად გული უნდა გავისუფთაოთ, ჩვენ ერთმანეთის მიმართ არა ორგულობა, არამედ ერთგულება გვმართებს, თითოეული ჩვენგანის გული, სანთელივით ირგვლივ სინათლეს უნდა ჰფენდეს.

„სიკეთე არ უნდა დაკარგოთ, სიძულვილმა არ უნდა დაისადგუროს თქვენს გულებში. უნდა ეცადოთ, რომ სიკეთე მომდინარეობდეს თქვენგან, სიყვარულს უნდა სთესდეთ და სიყვარული ათმაგად და ასმაგად დაგიბრუნდებათ სიუხვესთან ერთად“. აღნიშნავს მისი უწმინდესობა.

**დღეს ქართველებმა არ უნდა დავკარგოთ იმედი იმისა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დაბრუნდება. წარმოუდგენელია თითოეული ქართველისთვის ამ ისტორიული ტერიტორიების გარეშე! და როგორც ჩვენი მწყემსმთავარი ბრძანებს: „ეს ჩვენი მიწაა, ჩვენი სისხლი და ხორცია!“**

შეუძლებელია არ გიყვარდეს ღმერთი და გიყვარდეს ადამიანი. უსიყვარულოდ ცხოვრება შეუძლებელია, ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს ქართველებს, ერთმანეთის უნდა გვესმოდეს. უნდა გავითავისოთ ერთმანეთის სიხარული, ტკივილი, წარმატება. ადამიანის გული, თითქოსდა მის შინაგან ტაძარს წარმოადგენს, სადაც სიყვარული უნდა სუფევდეს. სიყვარულის სწავლება შეუძლებელია, მისით ღმერთმა უნდა დაგვაჯილდოვოს. უფალი კი მას აჯილდოვებს ამ გრძნობით, ვისაც წმინდა და წრფელი გული აქვს.

წმინდა იოანე სინელი წერს: „ვისაც სიყვარულისთვის ნებავს სიტყვის თქმა, მას თავად ღვთის შესახებ გაუბედავს საუბარი, ხოლო ღვთის შესახებ სიტყვის თქმა საცდურია დაურიდებელთათვის. სიყვარული ღმერთია და ვისაც ღვთის განსაზღვრა ნებავს, იგი ბრმაა და უფრსკულის ფსკერზე ქვიშის დათვლას ლამობს“.

2006 წელს შვეიცარიაში შედგა ფორუმი, ე. წ. „მსოფლიო ბრძენთა საბჭო“, რადგან ემსჯელათ სამყაროში არსებული კრიზისის დაძლევის გზებსა და საშუალებებზე, მაგრამ ვერავითარ გზას ვერ მიაკვლიეს. მათ მიერ დასახელებული კრიზისის უმთავრესი მიზეზი უსიყვარულობაა. კონფერენციაზე გაცხადდა, რომ **ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად 58 ათასი თვითმკვლელობა ხდება და მცხოვრებთა მესამედი ფსიქიკურად დაავადებულია. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიზეზი, ის გახლავთ, რომ მათ არ იციან მეზობლის, ნათესავისა და მეგობრის მიმართ სიყვარული.**

„თუ ვხედავთ, რომ ადამიანი იღუპება, მას დახმარების ხელი უნდა გავუწოდოთ, რომ გადავარჩინოთ დაღუპვას. ამიტომაც, ქრისტიანული სიყვარული ღვთაებრივია. სიყვარული სხვა სჯულის ხალხმაც იცის: მუსლიმებმა, იუდეველებმა, ურწმუნოებმაც, მაგრამ მათი სიყვარული ძალიან ვიწროა, ისინი მოქმედებენ ცხოვრებისეული პრინციპით: „მიყვარს ის, ვისაც მე ვუყვარვარ“.

ქრისტიანული სიყვარული უსაზღვროა, მას ყველა უნდა უყვარდეს. ასეთია სახარებისეული სწავლება. ე. ი. ჭეშმარიტი მოძღვრება. „პირველი საუკუნეების ქრისტიანები სწორედ ამგვარი სიყვარულის ცოცხალ მაგალითებს წარმოაჩენდნენ. როცა რომის იმპერიაში საშინელი სენი გავრცელდებოდა და მას უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა, ქრისტიანები, მიუხედავად იმისა, რომ მათგან დევნისა და შეურაცხყოფის გარდა არაფერი ახსოვდათ, საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად იმ წარმართებსაც უვლიდნენ, რომელნიც სენის გადადების შიშით პატრონებს სახლებიდან გამოჰყავდათ და ქუჩებში ტოვებდნენ“. ეს სიტყვები ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავრმა 1985 წლის 17 ოქტომბრის ერთ-ერთი ქადაგებისას წარმოთქვა.

ადამიანის გონება და გული ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს კეთილსა და ბოროტს შორის. ადამიანი თავისი ბუნებით, მეტად რთული და დიდი ქმნილებაა, რომლის ბოლომდე შეცნობა წარმოუდგენელია. ღმერთმა, რომელიც თავად სიყვარულია, ადამიანი სიყვარულისა და ნეტარებისთვის შექმნა, იმ ნეტარებისთვის, რომელიც ადამიანის სულიერებით მიიღწევა.

როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ერთიცა და მეორეც, რა თქმა უნდა ღმერთისგან ბოძებულია. ყოველმა ქართველმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს თავისი ქვეყნის კეთილდღეობაში. ადამიანს ბევრი სიკეთის კეთება შუძლია სამშობლოსთვის. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ერთხელ ასეთი სიტყვებით მიმართა ამერიკელ ხალხს: „ნუ ფიქრობთ იმაზე, თუ რა შეგიძლია გაგიკეთოთ თქვენ ამერიკამ, – იფიქრეთ იმაზე, თუ რა შეგიძლიათ თქვენ გაუკეთოთ ამერიკას“. ეს სიტყვები უნდა გვახსოვდეს ჩვენ, ქართველებსაც.

„ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. საქართველო არის ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები, წინაპართა დადებითი და უარყოფითი თვისებები. საქართველო არის მტკიცე ოჯახი, ნათესავების თანადგომა და მათი კავშირი. საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრობისათვის თავს სწირავენ და სადაც მეზობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელ-მირონობა და ძმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია. საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა, ჩვენი მთა და ჩვენი ბარია, ჩვენი ულაბნოა, ჩვენი წყალი და ზღვაა“. აღნიშნავს ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარი, 2008 წლის შობის სადღესასწაულო ქადაგებაზე.

მსოფლიოში სახელგანთქმულ ფიზიკოსს ა. აინშტაინს უთქვამს: „ვისაც არ შეუძლია შინაგანად განიცადოს ის სილამაზე, რომელიც ჩვენს გარშემოა, იგი მკვდარიაო“. შინაგანი განცდა კი რელიგიურ გრძნობასა და შეხედულებებთანაა დაკავშირებული.

ძნელბედობის ჟამს საქართველოს ღვთის განგებით მოევლინა წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი, როგორც „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, სიტყვა ჭეშმარიტად მართალი. მან ბიბლიურ მოსესავით აიღო მოწამეობრივი ტვირთი ჩვენი ერისა. თითქოსდა ილია მართალზე განმეორდა იერემია წინასწარმეტყველისადმი თქმული სიტყვები: „ვიდრე გამოხვიდოდი შენ საშოდან, მე განგწმინდე შენ, წინასწარმეტყველად ხალხთა დაგადგინე შენ“ (იერემია 1,4-5ძ.

**ილია მართალმა უდავოდ იტვირთა მეტად მძიმე ჯვარი ჩვენი საქართველოსი და შეუდგა გოლგოთის გზას. მან იცოდა, რომ ეროვნულობისა და თავისუფლების შენარჩუნებაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ რწმენას. სწამდა იმ ქვეყნისა, რომელიც ჯვარს ეცვა ჯვარცმული მაცხოვრისთვის, იმ ხალხის, რომელმაც „თავის მკერდზე დაუდგა ქრისტიანობას საყდარი, ქვად საკუთარი ძვლები იხმარა, კირად კი – სისხლი, რომელმაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი**



**ვერ შემუსრავენ“. იგი სწორედ გულისტკივილით აღნიშნავდა: „რა არ გადაგვხვდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძლეით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი“.**

მას ღრმად სწამდა, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას შეეძლო. იგი ცდილობდა ესწავლა ხალხს გარჩევა კეთილსა და ბოროტს შორის, ცოდვასა და მადლს შორის.

ამიტომ იგი სულშეძრული წერდა: „სად არის იგი მღაღადებელი, ქვეყნის ხსნისათვის, – ჭეშმარიტება? სად არის იგი, მიწის მდევნელი ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება“? მის სიკვდილს არ შეიძლება ვუწოდოთ სიკვდილი. ეს იყო ჯვარცმა, ეს იყო გარდასახვა.

მშვენივრად ბრძანა აკაკიმ: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი ხარ!“. რით დაიმსახურა წმინდა ილია მართალმა ეს პატივი და დიდება? რა თქმა უნდა, თავისი ღირსეული ღვაწლითა და მოწამეობრივი აღსასრულით.

წმინდანად აღიარების შემდეგ იგი არაა მხოლოდ მწერალი, პოეტი თუ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, არამედ რჩეული მოძღვარი, მქადაგებელი სიმართლისა, დიდი მეოხი ჩვენი ერისა და შუამავალი და დამხმარე უფლის წინაშე.

არაერთი წმინდანის მფარველობის ქვეშ იმყოფება ჩვენი ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო. ჩვენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სულიერი შვილები ვართ.

უდავოდ დიდია ღვაწლი კაბადოკიელი წმინდანისა, ნინო ქართველთა განმანათლებლისა. წმინდა ნინო სულ ნორჩი იქნებოდა, 12-13 წლისა და სხვებთან ერთად კაბადოკიიდან წამოვიდა იმისთვის, რომ ექადაგა სახარება საქართველოში, რადგან შეიტყო, რომ საქართველოში არის კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. რა ძალა ჰქონდა მას, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგა! ვინ მისცა მას ეს ძალა, რომ შორეულ საქართველოში წამოსულიყო? რა თქმა უნდა, ძალა უფალმა მიანიჭა.

სრულიად ქართლის მოქცევა და საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მის სახელთანაა დაკავშირებული. როგორ შეიძლება დაივიწყო მისი ღვაწლი უფლისა და ქართველი ერის წინაშე და არ ეცადო შეინარჩუნო და დაიცვა და სხვასაც არ გაუზიარო, რაც მან გვასწავლა?! გრიგოლ რობაქიძემ თქვა: „დაო და დედაო, ღვთისმშობლის დობილო, შენზე ვართ მონდობილნი და შენი შენდობით არ გადავშენდებით“.

გავიხსენოთ წმინდა გიორგი. დიოკლეტიანეს იგი ძალინ უყვარდა და მის კარზე მხედართმთავრად დანიშნა კიდეც, მაგრამ მტკიცე სარწმუნოების გამო იგი საწამებლად ჯალათებს გადასცა. როცა იგი სისხლისგან იცლებოდა, საკანში უფლისგან ასეთი ხმა ჩაესმა: „ნუ გეშინია გიორგი, მე შენთან ვარ“. ეს ხმა დღეს მთელს ქართველ ერს, მთელს სამწყსოს ჩაესმის უფლისგან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II 2002 წლის გიორგობის სადღესასწაულო ქადაგებაში აღნიშნავს: „წმინდა გიორგი არის სიმბოლო გამარჯვებისა, საქართველოს ძლევამოსილი გამარჯვებისა. აი, ჩვენს წინაშე არის ორი პიროვნება – წმინდა გიორგი და იმპერატორი დიოკლეტიანე. სიმბოლო სიკეთისა და ბოროტებისა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა იარსებებს. ამიტომ ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს შეეწევა, ღვთის ძალა და მადლია“.

წერილი გვინდა დავასრულოთ ჩვენი უწმინდესობის სიტყვებით: „როცა ჩვენ იმ უდაბნოში მივდივართ, რომელსაც ამქვეყნიური ცხოვრება ჰქვია, ერთმანეთის დახმარებისათვის ძალა და ენერგია არ უნდა დავზოგოთ და ერთმანეთი უნდა გავახაროთ. საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს“.

როდესაც მყარდება კავშირი მიწასა და ზეცას, ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის, როდესაც ადამიანი აღწევს ამას თავისი სულიერი ღვაწლით, ის ძლიერია, ძლიერია სულითა და ხორცით.

**გელა ცაავა**

ინფორმაცია

## უმოწყალოდ დარჩენილი ბოდბისხეველები

**სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის მოსახლეობა მეათე წელია სასმელ წყალს ყიდულობს. როგორც ბოდბისხევის მაცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, სოფელში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კი დაიწყო, მაგრამ ძალიან გაჭიანურდა.**

**სოფელ ბოდბისხევში, სადაც 800-მდე ოჯახი ცხოვრობს, 10 ლიტრი სასმელი წყალი 1 ლარი ღირს.**

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნოდარ კოჭლამაზაშვილის განცხადებით, სოფელ ბოდბისხევში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს და 37 ათასი ლარი იხარჯება. გამგებელი ირწმუნება, რომ სამუშაოები ერთ კვირაში დასრულდება.**

## გამგებელი ნარკოლოგიურ შემოწმებაზე უარს აცხადებს

**თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვასილ დავითაშვილი უარს აცხადებს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თელავის გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულმა პირებმა ნარკოლოგიური შემოწმება გაიარონ.**

**როგორც თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, მას ნარკოლოგიური შემოწმების სურვილი არ აქვს. „არ გავივლი არც მე და არ ვატარებ არც ჩემს თანამშრომლებს. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, რომ ისინი დავამცირო. არის რამე პრობლემა?, – განაცხადა დავითაშვილმა.**

**შეგახსენებთ, რომ პოლიტიკური პარტიების „ახალი მემარჯვენეებისა“ და „კონსერვატორების“ თელავის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლების ნარკოლოგიური შემოწმების მოთხოვნით, ერთი თვის წინ გამოვიდნენ.„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ აგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც ნარკოტიკების მომხმარებლები არიან. აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ, მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების მეთვალყურეობით ჩატარდეს ნარკოლოგიური შემოწმება, – განაცხადეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა.**

## ღორის გრიპი უცხოეთიდან შემოაქვთ

**საქართველოში H1N1 ვირუსის მე-15 შემთხვევა დაფიქსირდა. ამჯერადაც ვირუსი იმპორტირებულია. საქართველოს მოქალაქემ, 25 წლის მამაკაცმა გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომებით დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ მიმართა.**

**დაავადების ფორმები მსუბუქია, იგი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ სახლში მკურნალობს. ექიმების განცხადებით, ვირუსის მსუბუქი ფორმის გამო, დაავადებულს პრეპარატ ტამიფლუთი მკურნალობა არ დასჭირდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ამერიკელები საქართველოში ახალ სააკაშვილს ეძებენ“

**ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში იწყებს 750 ქართველი ჯარისკაცის მომზადების ექვსთვიანი პროგრამის რეალიზაციას მათი ავღანეთში გასაგზავნად. ოფიციალური თბილისი და მისი დასავლელი მოკავშირეები ამ მოვლენას გვთავაზობენ როგორც საქართველოს ნატოსთან დაახლოების ნიშანს, ავღანეთში სამშვიდობო ოპერაცია ხომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ეგიდით მიმდინარეობს.**

საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური ბანაკის — ლეიბორისტული პარტიის 51 წლის ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი შალვა ნათელაშვილი ამ ოპტიმიზმს არ იზიარებს. მან გაგვიზიარა თავისი პროგნოზები საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით.

მე არ ვიზიარებ აღფრთოვანებას ჩვენი ჯარისკაცების ავღანეთში გაგზავნასთან დაკავშირებით. დასავლეთს ვურჩევდი, ჯერ მოეთხოვათ პრეზიდენტ სააკაშვილისაგან დემოკრატიული რეფორმების განხორციელება, სამართლიანი არჩევნები. შემდეგ კი დაე დემოკრატიულად არჩეულმა მთავრობამ გადაწყვიტოს, სად გაგზავნოს თავისი ჯარები და ღირს კი განა გავწიროთ ჩვენი ახალგაზრდობა სადღაც პროგრესის გამო?

აქ კიდევ ლაპარაკობენ, რომ შეგვიძლია მივიღოთ გუანტანამოში ამერიკის ციხეების პატიმრები, თითქოს ჩვენ საკუთარი პატიმრები არ გვყოფნიდეს! ესაა მონური ფსიქოლოგიის გაგრძელება, მხოლოდ ერთი იმპერია შეგვიცვალეს მეორით. ჯობდა, უმალვე გავმხდარიყავით ამერიკის შეერთებული შტატების შტატი. ანდა დავბრუნებულიყავით სსრ კავშირში — იქ საქართველო მთლიანი მაინც იყო. ადრე მოსკოვი წყვეტდა ჩვენს მაგივრად, თუ ვინ უნდა ყოფილიყო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ახლა დასავლეთი წყვეტს, თუ ვინ იქნება საქართველოში პრეზიდენტი და მინისტრები. სადამდე მივედით!

— არ მოგწონთ ამერიკის პოლიტიკა საქართველოსთან დაკავშირებით?..

— არც ამერიკისა მომწონს და არც რუსეთისა. ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ მუდმივი ინტერესები. ამჟამად ეძებენ ახალ სააკაშვილს, „მიშა-2“. როდესაც მონახავენ, სააკაშვილის კვალიც აღარ დარჩება საქართველოში ერთი საათის შემდეგ. მაგრამ ასეთი მეორის მონახვა ძნელია. სააკაშვილი — კარგი მეპიარეა.

— „მიშა-2“-ის კანდიდატი არის?

— არის. მაგრამ ჯერჯერობით ვერ ქაჩავენ. მაგალითად, ირაკლი ალასანია, გაეროში ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა, რომელიც ივლისში თბილისში იმყოფებოდა, ჯერჯერობით თქვა: გაუფრთხილდით ამ ახალგაზრდას — სააკაშვილს. ჩვენ კი ვინმე გვეკითხება, გვინდა თუ არა ასეთი პრეზიდენტი?



— რატომ არ მოგწონთ რუსეთის პოლიტიკა? თუმცა გასაგებია — ომი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

— რუსეთი დანაშაულებრივად მოიქცა. მთავრობები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება. რუსეთი და საქართველო მეზობლები არიან — მოძმე, მართლმადიდებელი ერები. როგორ შეიძლება აიღო და აღიარო ჩეჩნეთის ან დაღესტნის დამოუკიდებლობა, თუ გაუბრაზდები რუსეთის ხელმძღვანელს? სააკაშვილმა გააბრაზა რუსეთი, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მეტად ვართ სააკაშვილზე გაბრაზებული.

სხვათა შორის, არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ რუსეთის პოლიტიკური წრეებიც კი მონაწილეობდნენ სააკაშვილის საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლაში. ჩვენ გვახსოვს თბილისში მიტინგზე „ვარდების რევოლუციის“ დროს ექვსი წლის წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელი იგორ ივანოვი. ჩვენ გვახსოვს რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ევგენი პრიმაკოვის საქმიანობაც. იგი იყო ბატონი სააკაშვილის „ნათლია“ კრემლის დერეფნებში. შედეგად, ავანტიურისტ სააკაშვილის გამო დაისაჯა საქართველო.

— ოცი წლის წინათ, თქვენ დაამთავრეთ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა. თუ არის შესაძლებლობა, დიპლომატიური გზით გადაიჭრას რუსეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი პრობლემები?

— მხოლოდ სააკაშვილის წასვლა იქნება სინათლე გვირაბის ბოლოს. სანამ იგი ხელისუფლების სათავეშია, რაიმე ელემენტალურ მოწესრიგებაზე ოცნებაც კი თავის მოტყუებაა.

— 2008 წლის ბოლოს თქვენ პირველმა ქართველ პოლიტიკოსებს შორის განაცხადეთ რუსეთთან დიალოგის მზადყოფნის შესახებ. ეს წინადადება ძალაში რჩება?

— დიახ. უკანასკნელად მე მოსკოვში ვიზიტით ვიყავი 2005 წელს. სიამოვნებით შემიძლია კვლავ გავემგზავრო იქ და ვისაუბრო იმის შესახებ, რომ რუსი და ქართველი პოლიტიკოსები ერთნაირად დამნაშავენი არიან იმაში, რაც მოხდა.

— ჯერ კიდევ 2007 წელს თქვენ და რამდენიმე ქართველ პოლიტიკოსს ბრალი დასდეს მოსკოვთან „უზნეო კავშირებში“. სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა...

— გამოძიება გრძელდება. მე მივიღე წერილი დანაშაულის უქონლობის შესახებ. სააკაშვილმა თქვა, რომ ამ საქმემ გამოააშკარავა ჩემი ჭეშმარიტი სახე საზოგადოების წინაშე. მოდი, იმან თავის ჭეშმარიტ სახეზე იფიქროს!

— თქვენს ოფისში ჰკიდია მიხეილ სააკაშვილის ფოტოგრაფია წარწერით „საქართველოს სირცხვილი“. ზედმეტი ხომ არ არის ეს? პრეზიდენტმა ამას წინათ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უამბო, რომ მისი მხარდაჭერის რეიტინგმა სამოც პროცენტს მიაღწია.

— მას რეიტინგი არ გააჩნია, სამაგიეროდ ჰყავს პოლიცია, არმია, სპეცნაზი, პროკურატურა, ციხეები...

— და მაინც, ოპოზიციამ, რომელიც აწყობდა მიტინგებს აპრილიდან ივლისამდე, ვერ მიაღწია პრეზიდენტის გადადგომას და ვადამდელი არჩევნების მოწყობას...

— ხელი შეგვიშალა გათიშულობამ. თუ კვლავაც ოპოზიცია იქნება როგორც გედი, კიბო და ქარიყლაპია (კრილოვის იგავ-არაკია მხედველობაშიძ, მაშინ აბსოლუტურად რეალურია, რომ სააკაშვილი თავის პოსტზე დარჩება თავისი ვადის ბოლომდე 2013 წლამდე. შემდეგ შეეცდება კიდევ დარჩეს, როგორც პრემიერი. მის სასარგებლოდ მუშაობს უზარმაზარი პიარ-მანქანა, გვარწმუნებს, რომ საქართველომ გაიმარჯვა რუსეთზე, ჩამოგლიჯა მას ნიღაბი, აჩვენა მისი სახე მთელ პროგრესულ კაცობრიობას. ჩვენ, ლეიბორისტები, განუწყვეტლივ ვიმუშავებთ მის წინააღმდეგ, რათა რაც შეიძლება მალე გავათავისუფლოთ ქვეყანა სააკაშვილისგან. პრეზიდენტის პოსტზე მე კენჭს ვიყრი აუცილებლად.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# საქართველოს ხელისუფლებამ ხელთ ტელესიგნალები ჩაიგდო

**საქართველოს ხელისუფლებამ პრეტენზია წაუყენა რუსეთის ტელეარხებს, რომლებიც მაუწყებლობას ახორციელებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და განზრახული აქვს, დააჯარიმოს ისინი „უკანონო მაუწყებლობისთვის“.**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გვაცნობეს, რომ თბილისი რუსეთის ტელევიზიის მუშაკებს გადაახდევინებს ჯარიმას 300 000 დოლარამდე საერთაშორისო სასამართლოების მეშვეობით. სხვათა შორის, გამოკითხული ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ფულის მიღებას თბილისი ვერ შეძლებს, ხოლო კამპანია რუსეთის არხების წინააღმდეგ გათვლილია საერთაშორისო აუდიტორიაზე.

რუსეთის ტელეარხების დაჯარიმების განზრახვის შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განაცხადა გასულ კვირას. თბილისი ბრალს სდებს რუსეთის ტელემუშაკებს „საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკანონო მაუწყებლობაში“. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 1441 მუხლის მეოთხე ნაწილს, რომლის თანახმადაც უკანონო მაუწყებლობისათვის კომისიის ლიცენზიის გარეშე კომპანიამ უნდა გადაიხადოს ჯარიმა 50 ათასი ლარის ოდენობით. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში კი — 500 ათასი ლარი. ამრიგად, საქართველოს პრეტენზიების მაქსიმალური თანხა რუსეთის ხუთი ტელეარხის მისამართით შეადგენს 1,5 მილიონ დოლარს.

ქართველ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება გათვლილია მხოლოდ საშინაო მოხმარებაზე: საქართველოს ხელისუფლებას ესმის, რომ ვერ აიძულებს რუსეთის კომპანიებს გადაიხადოს ჯარიმა. „ყველაფერი ეს კეთდება საშინაო პროპაგანდისათვის, რათა აჩვენოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ფსევდოაქტიურობა. ჩვენს ხელისუფლებას ხომ არავითარი მექანიზმი არ გააჩნია, რომ რეალურად აიძულოს დამრღვევები გადაიხადონ ჯარიმა, — განაცხადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა გიორგი ხუხაშვილმა. — მაგალითად, რუსეთის ენერგეტიკულ კომპანიებს, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ აფხაზეთში, არავინ აჯარიმებს. „ინტერ რაო“ ხომ ამავე დროს ფლობს საქართველოს ენერგეტიკის მნიშვნელოვან ნაწილს. ან, მაგალითად, რუსეთის მობილური ოპერატორები. ისინი მუშაობენ აფხაზეთში, მაგრამ „ბილაინს“ საქართველოში არავინ აჯარიმებს. ასე რომ, ეს ყველაფერი ყალბი პროპაგანდაა“. ექსპერტის აზრით, სარჩელის შეტანა საერთაშორისო სასამართლოებში შეიძლება, მაგრამ შედეგი ნულოვანი იქნება, მით უმეტეს, რომ სავსებით არ არის ცნობილი, თუ ვისი იურისდიქციით მოხდება ეს შემთხვევა.

**გიორგი დვალი, ალექსანდრ გაბუევი**

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**კენედის დაკრძალვის შემდეგ ობამამ თავისი შვებულება ერთი კვირით გააგრძელა**

ადრე ვარაუდობდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დასვენება დამთავრდებოდა 30 აგვისტოს, მაგრამ სენატორის გარდაცვალებამ ობამა აიძულა ცოტა ხნით დაბრუნებოდა თავის საქმეებს. ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პირის ოჯახის შვებულების ღირებულებას არ აქვეყნებენ, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, იგი მერყეობს კვირაში 35-დან 50 ათას დოლარამდე.

* * *



**ხანძარი ლოს-ანჯელესის მახლობლად საფრთხეს უქმნის ტელეარხებს. დაიღუპა ორი მეხანძრე**

ხანძარი უახლოვდება მაუნტ ვილსონის მთას, სადაც განთავსებულია ლოს-ანჯელესის 22 ტელეარხი და დაახლოებით 25 რადიოსადგური. მეხანძრეებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ხანძარი გავრცელდება და ეს მხოლოდ დროის საკითხია. ორი მეხანძრე დაიღუპა, სამმა კაცმა მძიმე დამწვრობა მიიღო.

* * *

**იაპონიაში არჩევნებში გამარჯვებული დემოკრატები აწარმოებენ მოლაპარაკებას სამთავრობო კოალიციის შექმნის შესახებ**



დემოკრატიული პარტია, რომელსაც სათავეში უდგას 62 წლის იოკიო ხატოიამა, მოიპოვა 308 ადგილი 480-დან პარლამენტის საკვანძო ქვედა პალატაში. აქამდე იაპონიის ომის შემდგომ ისტორიაში ოპოზიციურ ძალას არ მიუღია აბსოლუტური უმრავლესობა. ეს აძლევს მას საშუალებას, ჩამოაყალიბოს მთავრობა დამოუკიდებლად. მაგრამ იგი ვარაუდობს კოალიციის შექმნას.

* * *

**შატლი „დისქავერი“ შეუერთდა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს**

მიერთება მოხდა გრაფიკის წინსწრებით. ერთიანი საერთაშორისო გუნდის ოდენობა შეადგენს 13 კაცს 5 ქვეყნიდან. საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე დიდი ხანია ელოდნენ შატლის კოსმონავტებს. გასულ კვირას მისი სტარტი სამჯერ გადაიდო.



## იცით თუ არა, რომ...

• ამერიკელმა ა. ვოლფრამმა რეკორდი დაამყარა კოცნაში. მან სპეციალურად გამართულ ფესტივალზე რვა საათის განმავლობაში 8001 ადამიანი გადაკოცნა.

• საშუალო ზომის მსუბუქ ავტომობილში ათასზე მეტი სადენია, რომელთა საერთო სიგრძე 2 კილომეტრს შეადგენს, ხოლო წონა 40 კილოგრამია.

• ყავა მსოფლიო სავაჭრო ბაზარზე გაყიდულ პროდუქტთა შორის მეორე ადგილზეა. პირველ ადგილს ბენზინი იკავებს.



• დღის განმავლობაში ადამიანის პირის ღრუში 1,4-1,5 ლიტრი ნერწყვი გამოიყოფა.

• კონგოსა და სიერა-ლეონში განთავსებულ გაეროს მშიდობისმყოფელთა ყოველდღიურ განკუთვნილ ნორმაში შედის ერთი პრეზერვატივი.

• ადამიანი, რომელიც დღეში ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევა ეს იმის ტოლფასია, რომ წელიწადში დალიოს ნახევარი ფინჯანი ფისი.

• 4 ათასი წელია, რაც ადამიანს არც ერთი ცხოველი არ მოუშინაურებია.

• წარწერა სიგარეტის კოლოფზე ჯანმრთელობაზე მისი მავნებლობის შესახებ 1966 წლიდან შემოიღეს.

• ადამიანის ორგანიზმში ლეიკოციტები 2-4 დღე ცოცხლობენ, ხოლო ერითროციტები 3-4 თვეს.

• ადამიანის ორგანიზმში მცხოვრებ ბაქტერიათა საერთო წონა 2 კილოგრამს აღწევს.

• ბოლო ასი წელია მსოფლიო ოკეანის დონე წელიწადში ერთი მილიმეტრით მატულობს.

• დაბადებისთანავე ადამიანის ტვინი შეიცავს 14 მილიარდ უჯრედს და ეს რაოდენობა სიცოცხლის ბოლომდე არ იზრდება, უფრო მეტიც – 25 წლის ასაკიდან იგი ასი ათასით მცირდება დღეში. ყოველდღიურად წიგნის ერთი გვერდის წაკითხვისას ადამიანის ტვინი კარგავს 70 უჯრედს. ორმოცი წლის შემდეგ ადამიანის ტვინი სწრაფ დეგრადაციას განიცდის. ამ დროს ნეირონები (ნერვული უჯრედები) იფიტება და ტვინის ზომა მცირდება.

• ცნობილი კომპანია „კოკა-კოლას“ შტაბბინა განთავსებულია ამერიკის ქალაქ ატლანტაში.

• მამაკაცები ჯუჯებად ითვლებიან, როდესაც მათი სიმაღლე არ აღემატება 130 სანტიმეტრს, ქალებში ეს ზღვარი 120 სანტიმეტრია.

• კბილის ჯაგრისი ნეილონის საფარით პირველად 1938 წელს გამოიგონეს. კბილსაწმენდი სხვა მასალის ჯაგრისისაგან უფრო ადრეც არსებობდა. კბილის ჯაგრისი პირველად 1498 წელს ჩინელებმა შექმნეს აქ „ჯაგრისად“ იყენებდნენ ღორის ჯაგარსა და ცხენის ძუას, იშვიათად თახვის ბეწვს.

• ადამიანის დნმ-ი დაახლოებით 80 ათას გენს შეიცავს.

• ადამიანის ფილტვების ზედაპირის საერთო ფართი თითქმის ჩოგბურთის კორტების ფართის ტოლია.

• მილიონი დოლარი ერთდოლარიანი ბანკნოტებით ერთ ტონას იწონის. თუ ამ ბანკნოტებს ერთმანეთზე დავაწყობთ მისი სიმაღლე 100 მეტრი იქნება.

• მშიერ მგელს შეუძლია 10 კილოგრამი ხორცის შეჭმა. ისე მისი რაციონი მხოლოდ 2 კილოგრამს შეადგენს.

• ფრანგულად ხელის თითების სახელებია: პუსი, ინდექსი, მაჟორი, ანიულერი და ორიკიუდერი.



• ყავის მოყვარულები უფრო სექსუალურები არიან და სექსისგანაც მეტ სიამოვნებას ღებულობენ, ვიდრე ისინი, ვისაც ყავა არ უყვარს.

• პირველი რეკლამა დაიბეჭდა ინგლისში 1477 წელს.

• დაადგინეს, რომ მამაკაცებს, რომლებიც სამსახურში წასვლის წინ მეუღლეებს კოცნით ემშვიდობებიან, უფრო მეტი ხელფასი აქვთ ვიდრე, მათ, ვინც ასე არ იქცევა.

• მოსკოვის გარშემო 200 ოფიციალური ნაგავსაყრელია.

• ნიდერლანდების ეროვნული ჰიმნის სიტყვები, ამ სახელმწიფოს მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტმა იცის.

• იაპონიაში გარდაცვლილთა 93 პროცენტს წვავენ, ამერიკაში – 12, ხოლო ინგლისში 67 პროცენტს.

• ამერიკელ სტატისტიკოსთა გამოკვლევით მამაკაცები უფრო ხშირად სარგებლობენ მობილური ტელეფონით, ვიდრე ქალები. მამაკაცები ამერიკაში საშუალოდ თვეში 438 წუთს ხარჯავენ ტელეფონით საუბრისას, ქალები კი – 377 წუთს. სამაგიეროდ ჩვეულებრივი ხაზის ტელეფონით საუბარს ქალები ორჯერ მეტ დროს უთმობენ, ვიდრე კაცები.

• საინტერესოა ვინ დაადგინა, მაგრამ როგორც ინგლისელი სტატისტიკოსები ამტკიცებენ მსოფლიოში ყოველდღიურად სექსით 200 მილიონი წყვილია დაკავებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ წუთში 2 ათასი სექსუალური აქტი ტარდება.

• იქნებ მათემატიკოსები ცდებიან, მაგრამ ლობაჩევსკის თეორიის მიხედვით სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ყოველთვის ნაკლებია 180 გრადუსზე. ევკლიდეს გეომეტრიის მიხედვით იგი ზუსტად 180 გრადუსია, ხოლო რიმანის მტკიცებით – 180 გრადუსზე მეტი.

• ყველაზე მეტი ხანდაზმული ადამიანი (მოსახლეობის 24 %) ცხოვრობს შვედეთში, ყველაზე ცოტა კი (2 %) ქუვეითში.

• ყოველი მეორე ამერიკელი სტუდენტი დარწმუნებულია, რომ 40 წლის ასაკში მილიონერი გახდება.

## რას არ გაიგებს კაცი

• მეორე ათასწლეულის დასაწყისისთვის (1000 წელი) დედამიწის მოსახლეობა 400 მილიონს შეადგენდა. ათასწლეულის დასასრულს კი დედამიწაზე უკვე 6 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა.

• შვედეთში 300 ათასი ადამიანი ატარებს კარლსონის გვარს.

• მოსკოვში 1897 წელს დაიბადა მემილიონე მოსკოველი.

• ქალი წელიწადში საშუალოდ 2 კილოგრამამდე პომადას მოიხმარს.

• ამერიკაში მოღვაწე ფიზიკოსებიდან 8 პროცენტი ქალია.

• მსოფლიოში ყველაზე დიდი გვარია ჩანგი.

• ყველაზე დიდი რიცხვია ცენტილიონი, რომელიც 600 ნულითაა განსაზღვრული. იგი მათემატიკაში 1852 წელს შემოიღეს.



• მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ქალის სახელია ანა. ამ სახელს 100 მილიონი ქალბატონი ატარებს.

• ყოველდღიურად რუსეთის ტერიტორიაზე 710 ხანძარი ხდება, რომლის დროსაც 40 ადამიანი იღუპება.

• ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან საშუალო ხელფასის მიხედვით პირველ ადგილს რუსეთი იკავებს – 73 აშშ დოლარი. ბოლო ადგილზეა ტაჯიკეთი – 8,9 აშშ დოლარი.

• ადამიანი ერთადერთია ცოცხალ არსებათა შორის, რომელსაც სწორი ხაზის გავლება შეუძლია.

• თუ კაზინოში „რულეტკის“ ბორბალზე არსებულ ყველა რიცხვს შეკრებ, მიიღებ სატანის რიცხვს – 666.

• ადამიანთა 95 პროცენტი ნელამკითხველია. მათ შეუძლიათ წუთში 180 სიტყვის წაკითხვა.

• ტოკიოს ზოოპარკს ყოველწლიურად 2 თვით კეტავენ, რათა ცხოველებმა დაისვენონ ... ადამიანებისგან.

• კინოში პირველად ქალისა და მამაკაცის კოცნა გადაიღეს 1886 წელს თომას ედისონის ფილმში „კოცნა“. ამბორი 30 წამს გრძელდებოდა.

• როგორც ამტკიცებენ მსოფლიოში გრიპის გამომწვევი 100 სხვადასხვა ვირუსი არსებობს.

• წელიწადში ადამიანი საშუალოდ 750 ლიტრ წყალს სვამს.

• ადამიანის ტვინში ყოველ წამში 100 ათასი ქიმიური რეაქცია ხდება.

• ტარიფი ჰქვია ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ კუნძულს, სადაც გემების პორტში გაჩერებისთვის პირველად შემოიღეს გადასახადი.

# განცხადება

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

**სსიპ – წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად**

**1. ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება**

• მთავარი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–მშენებელი (აკადემიკოსი, დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• მთავარი მეცნიერ–თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ჰიდროტექნიკოსი (აკადემიკოსი, დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ჰიდროლოგი (დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ეკოლოგი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

• მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – გარემოს დაცვის მეცნიერ–სპეციალისტი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

**2. წყლის რესურსებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების განყოფილება**

• უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ქიმიკოსი (დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–გეოლოგი (დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ეკონომისტი (დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – გარემოს დაცვის მეცნიერ–სპეციალისტი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

• მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–პროგრამისტი ან პროგრამისტი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

**3. ჰიდრომელიორაციული და ეკოლოგიური უსაფრთხოების განყოფილება**

• უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ჰიდროტექნიკოსი (დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ჰიდროტექნიკოსი (დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–მექანიზატორი (დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ჰიდროლოგი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

• მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – მელიორაციის დარგის მეცნიერ–სპეციალისტი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

• მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – მელიორაციის დარგის მეცნიერ–სპეციალისტი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

**4. გარემოს დაცვის ლაბორატორია**

• უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – ინჟინერ–ჰიდროლოგი (დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი);

• მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – გარემოს დაცვის მეცნიერ–სპეციალისტი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;
დ) დოქტორის, მაგისტრის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის დამადასტურებელი საბუთი;
ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა;
ვ) ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი;
ზ) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაცია);
თ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ჩამონათვალი);
ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 2 სექტემბრიდან (10 საათიდან – 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა) სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (II სართული, ოთახი №227). საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 2 ოქტომბერი, 16 საათი.

კონკურსი ჩატარდება 7 ოქტომბერს.

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 60.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს შორენა კუპრეიშვილს.

ტელ: 22-72-00
ფაქსი: 22-73-00
ელ. ფოსტა: gwmil929@gmail.com
ინტერნეტ მისამართი: www. gwmi.ge

**დირექტორი: გივი გავარდაშვილი**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

◉ კალათბურთი

# მაშ, ასე: ბელარუსი



**ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ტურში „გ“ ჯგუფის შეხვედრები ასე დასრულდა: შვედეთი – ლუქსემბურგი 97:40, სლოვაკეთი – ირლანდია 75:68.**

**ძალიანაც კარგი:** ეს იმას ნიშნავს, რომ ბურთების შეფარდებით საქართველოს ნაკრებმა სკანდინავიელები ჩამოიტოვა, თავის კვინტეტში პირველი ადგილი დაიკავა და პლეიოფში 5 (მინსკში) და 9 (თბილისში) სექტემბერს ბელარუსებთან გაითამაშებს ელიტური „ა“ დივიზიონის საგზურს.

რაც შეეხება „ტრე კრუნურს“, მას მრისხანე ჩერნოგორიასთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

◉ ჭადრაკი

# იზმირი მოინადირეს



**გასულ უქმეებზე იზმირში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა.** ყველაზე უკეთ წარმოჩინდა დიდოსტატმა კონსტანტინე შანავამ იასპარეზა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში იგი თამარ წერეთელს დაუზავდა. 7,5 ქულით, მაგრამ სხვებზე უკეთესი კოეფიციენტით ამ უკანასკნელს მეორე პრიზი ხვდა. მესამე-მეოთხე ადგილები ათა სეკერმა (თურქეთი) და ბელა ხოტენაშვილმა გაინაწილეს.

დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: ივერი ჭილლაძე, მალხაზ სულაშვილი, გაიოზ ნიგალიძე, დავით მაღალაშვილი – 7 (თითოეულს), მაკა ფურცელაძე, არმენ გრიგორიევი, დავით ლომსაძე – 6,5 (თითოეულს), დავით ჯოჯუა, შოთა აზალაძე – 6 (თითოეულს), ნინო ბაციაშვილი – 5,5, ბაჩანა მორჩიაშვილი – 5 ქულა. ამ მოჭადრაკეებს სოფიო გვეტაძე დაემატა და დღეიდან ყველანი სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან.

# გზად აბუ-დაბიში

**ჩინეთის ქალაქ ნანგბოში დღეს საზეიმოდ გაიხსნება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს.**

ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ის დიდოსტატები დაიცავენ, რომლებმაც შარშან დრეზდენში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგეს: მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი და სოფიო ხუხაშვილი. ურეკში გავლილი საწვრთნელი შეკრების შემდეგ ძაგნიძემ, ლომინეიშვილმა და ხუხაშვილმა საშეჯიბრო გამოცდილება საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირებზე განიმტკიცეს. ჩიბურდანიძემ ნაკრების კაპიტან ნინო გურიელთან და გუნდის მწვრთნელ ზურაბ სტურუასთან ერთად მოთელვა აბუ-დაბის საჭადრაკო ფესტივალზე გაიარა. სტურუამ ღია ტურნირში მე-3 ადგილი დაიკავა. მაიამ სწრაფ ჭადრაკში მოსინჯა ძალები. შეჯიბრებაში 16 მანდილოსანი ჩაება. მათ შორის – გურიელი და ნინო ხურციძე. ჩიბურდანიძე მხოლოდ ქართველ დიდოსტატებს დაუზავდა, დანარჩენი ხუთი პარტია მოიგო და 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით გურიელი და ხურციძე ჩამორჩნენ, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

◉ ძიუდო

# ფიასკო



**როტერდამში დამთავრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა სპორტსმენებმა ფიასკო განიცადეს.** ერთადერთმა ნესტორ ხერგიანმა (60 კგ) იჭიდავა მესამე ადგილისთვის, ისიც დამარცხდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. ზაზა კედელაშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), ლევან წიკლაური (81), ვალერი ლიპარტელიანი (90), ირაკლი ცირეკიძე (100), ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა) და ნინო ოძელაშვილი (78) უსახელოდ დაემშვიდობნენ შეჯიბრებას. საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, ჩვენი ძიუდოისტები პლანეტის უძლიერეს ფალავანთა ფორუმიდან უმედლოდ რომ ბრუნდებიან.

რა მოხდა ტიტების ქვეყანაში, ამას, ალბათ, მალე მოეფინება ნათელი, თუმცა ამგვარი კრახი ნაკრებში არსებული განხეთქილების შედეგი გვგონია. ეროვნული გუნდის წევრთა უმრავლესობას ნორმალურად არ უვარჯიშია. ვინც გაისარჯა, ისინიც ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. დიდად სანწუხარ არს ესე.

◉ სანთელი

# ტატამის პოეტი



**ჩვენ შორის აღარ არის კაცი-ლეგენდა შოთა ჩოჩიშვილი, რომელმაც ქართულ ძიუდოში მთელი ეპოქა შექმნა. 22 წლის გორელმა ფალავანმა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირიდან (ცხადია, საქართველოდანაც) თეთრკიმონოიანთა შორის პირველმა მოიპოვა ოქროს მედალი. სხვა შეჯიბრებებზეც არაერთხელ გამოუჩენია თავი: 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადასა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მესამე ადგილები დაიკავა, ევროპის ჩემპიონატზე სამჯერ „ვერცხლი“ და ერთხელ „ბრინჯაო“ დაიმსახურა. საქართველოს ორგზის აბსოლუტურ ფალავანს საკავშირო პირველობებზე ორ-ორჯერ მეორე და მესამე ადგილები ხვდა.**

**მერე, როცა აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, 1989 წელს ვაჟკაცურად მიიღო იაპონელი გოლიათის ანტონიო ინოკის გამოწვევა და შერეული წესებით ბრძოლაში მისსავე სამშობლოში დაამარცხა იგი. არადა, ორთაბრძოლის დაწყებამდე შეხვედრის ორგანიზატორებმა ჩოჩიშვილთან გარიგება სცადეს. „საქართველომ 9 აპრილის ტრაგედია ახლახან გადაიტანა და ჩემგან წაგება არაფრით ეგებისო“, – გააწბილა მასპინძლები.**

**კაცურად იცხოვრა. საქმიანი რჩევა-დარიგებებით მოძღვრავდა ახალგაზრდა სპორტსმენებს. ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტსა და სეოკის აღმასკომის წევრს საკუთარი წვლილი შეჰქონდა ამ ორგანიზაციების საქმიანობაში. სიცოცხლე სწყუროდა. 60 წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადებოდა. ვაი, რომ აღარ დასცალდა. ულმობელი სენი მასზე ძლიერი აღმოჩნდა. დღეიდან დიდ ჩემპიონს მხოლოდ წარსულში მოვიხსენიებთ, თუმცა მის ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია!**

„სრ“ სპორტის რედაქცია

◉ „მუნდიალ – 2010“

# ლიპის რჩეულნი



**დამდეგ შაბათს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის მორიგი მატჩი: საქართველო – იტალია. ამ დღეებში „სკუადრა აძურას თავკაცმა მარჩელო ლიპიმ დაასახელა იმ ფეხბურთელთა გვარები, ვინც თბილისში ჩამოვა.**

**მეკარეები:** ბუფონი, დე სანტისი, მარკეტი.

**მცველები:** კანავარო, კიელინი, კრიშიტო, გროსო, ლეგროტალიე, სანტონი, ძამბროტა.

**ნახევარმცველები:** კამორანეზი, დაგოსტინო, დე როსი, მარკიონი, მარკიზიო, პალომბო, პეპე, პირლო.

**თავდამსხმელები:** დი ნატალე, ჯილარდინო, იაკუინტა, კვალიარელა, როსი.

რაც შეეხებათ „ჯვაროსნებს“, ისინი გუშინ შეკრებაზე შეთხელებული შემადგენლობით გადავიდნენ – გუნდის ძირითადი ბირთვი ექტორ რაულ კუპერის განკარგულებაში დღეიდან გამოცხადდება.

◉ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ფეხბურთელთა XXI ეროვნული ჩემპიონატის V ტურში გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა რუსთავის „ოლიმპმა“ ქვემოქართლური დერბი მოუგო ბოლნისის „სიონს“ – 3:0.**

მეზობელთა პრინციპული დუელის ბედი მასპინძელთა ბრაზილიელმა ლეგიონერებმა გადაწყვიტეს – აკინომ, კარდოზომ და ოლივეირამ უკვე მერამდენედ ისახელეს თავი და ოთარ კორღალიძის გუნდს წამყვანი პოზიცია შეუნარჩუნეს.



კიდევ ერთხელ გააწბილეს გულშემატკივრები კახი კაჭარავას გაწვრთნილმა თბილისის დინამოელებმა. „თეთრლურჯები“ ამჯერად „ზესტაფონთან“ შერცხვნენ – 1:4 (დვალი – 2, ელიავა, გელაშვილი; აკირემი).

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა გორში, სადაც „ვიტ ჯორჯიამ“ ახალი თავკაცის მერაბ კოჭლაშვილის დაბრუნება „ცხინვალთან“ მოპოვებული პირველი გამარჯვებით აღნიშნა – 2:0. ამ შეხვედრაში „დუბლი“ კვარაცხელიამ შეასრულა.

დრამატულად განვითარდა მოვლენები ზუგდიდში, სადაც „ბაია“ და „გაგრა“ დაზავდნენ – 2:2. მატჩის მთავარი მსაჯის ალექსანდრე კრიჭაშვილის გადაწყვეტილებების გამო პრეტენზიები ორივე მხარემ გამოთქვა, ოდიშელებმა კი მას სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს. შეგახსენებთ, რომ ამავე ქალაქში კრიჭაშვილს რამდენიმე წლის წინათ ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. ასე რომ, მოვუწოდებთ ფეხბურთის ფედერაციის შესაბამის კომიტეტს: მოუფრთხილდეს ახალგაზრდა კაცის ჯანმრთელობას და ნუღარ მიავლენს სამეგრელოში.

ამავე დღეს „ლოკომოტივი“ ვაკეში „სამტრედიასთან“ დამარცხდა – 0:3.



**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ – 15, „ზესტაფონი“ – 11, „ვიტ ჯორჯია“ – 10, „ცხინვალი“ – 9, „დინამო“ – 7, „სამტრედია“ – 6, „გაგრა“, „ბაია“ – 4-4, „ლოკომოტივი“, „სიონი“ – 1-1 ქულა.

**12 სექტემბერს ითამაშებენ:** „დინამო“ – „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“ – „ზესტაფონი“, „გაგრა“ – „ლოკომოტივი“, „ცხინვალი“ – „სამტრედია“, „სიონი“ – „ბაია“.

* * *

**იტალია. II ტური.** „მილანი“ – „ინტერი“ 0:4, „რომა“ – „იუვენტუსი“ 1:3, „ფიორენტინა“ – „პალერმო“ 1:0.

**ესპანეთი. I ტური.** „რეალი“ – „დეპორტივო“ 3:2, „ვალენსია“ – „სევილია“ 1:0, „მალაგა“ – „ატლეტიკო“ 3:0.

**ინგლისი. IV ტური.** „ჩელსი“ – „ბარნლი“ 3:0, „მანჩესტერი“ – „არსენალი“ 2:1, „პორტსმუთი“ – „სიტი“ 0:1, „ტოტენჰემი“ – „ბირმინგემი“ 2:1.

**გერმანია. IV ტური.** „ბაიერნი“ – „ვოლფსბურგი“ 3:0, „ლევერკუზენი“ – „ბოხუმი“ 2:1, „ჰერტა“ – „ვერდერი“ 2:3, „ჰამბურგი“ – „კიოლნი“ 3:1, „შალკე-“ – „ფრაიბურგი“ 0:1.

**საფრანგეთი. IV ტური.** „მარსელი“ – „ბორდო“ 0:0, „პსჟ“ – „ლილი“ 3:0, „ლიონი“ – „ნანსი“ 3:1.

## გამოსათხოვარი

# ვახტანგ რაზმაძე

გარდაიცვალა ვახტანგ რაზმაძე, საქართველოს იურისტთა ძველი თაობის გამორჩეულად კოლორიტული პიროვნება, ერთგული მეუღლე და მამა, ღირსეული და სათუთი ბაბუა, მოღვაწე, აღმზრდელი, პრინციპული და სამართლიანი ხელმძღვანელი, მისი ცხოვრება და სახელმწიფოებრივი საქმიანობა ყოველთვის იწვევდა განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესს. მან სამართლიანად დაიმკვიდრა ჭეშმარიტ მამულიშვილთა საამაყო გალერეაში დამსახურებული ადგილი.



ბატონი ვახტანგი 1930 წლის 12 მაისს დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ ზედა შავრაში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1949 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1955-1961 წლებში ქ. ტყიბულში კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე მოღვაწეობდა. 1961 წელს კი დაინიშნა ქ. ტყიბულის პროკურორად და ამ თანამდებობაზე 12 წლის მუშაობის პერიოდში წარმოჩინდა უაღრესად მაღალკვალიფიციურ, სამართლიან და პრინციპულ პროკურორად. დამსახურებულად მოიპოვა პატივისცემა არა მარტო ტყიბულის, არამედ მთელი რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებში და ფართო საზოგადოებაში.1973 წელს ბატონი ვახტანგი საქართველოს პროკურატურის განყოფილების გამგის მოადგილედ, შემდეგ კი საგამოძიებო განყოფილების უფროსად დაინიშნა. 1974 წლიდან ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა ქ. თბილისის პროკურორად. 1980-1982 წლებში პარტიულ სამუშაოებზე მოღვაწეობდა. 1982 წელს – საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე, 1985 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი, ხოლო 1990 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გენერალური პროკურორი იყო, 1999-2003 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრია.

პროკურატურის ორგანოებში 31 წლის მოღვაწეობის პერიოდში ბატონი ვახტანგი გამუდმებით ზრუნავდა ახალგაზრდა კადრების შერჩევის, კანონისადმი პატივისცემის, საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას კანონის მოთხოვნების მტკიცედ დამკვიდრებისთვის. ამიტომაც იყო მისი ყოველი სამუშაო დღე უაღრესად დაძაბული. ღრმა ცოდნით, ხასიათის სიმტკიცით აღწევდა სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას. კოლეგებთან ურთიერთობაში ბატონი ვახტანგი გამორჩეულად დელიკატური, ყურადღებიანი გახლდათ. საყოველთაოდ ცნობილია და ბუნებრივია, რომ პროკურორის საქმიანობით ყველა კმაყოფილი ვერ იქნებოდა, მაგრამ ბატონი ვახტანგის უნიკალურობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ უკმაყოფილოებს თუ ოპონენტებს ღრმა ერუდიციით, ნიჭით, მტკიცე და მკაცრი პოზიციის დაცვით, სამართლიანი კომპრომისით არწმუნებდა თავის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეში.

ბატონი ვახტანგის ძალისხმევით გაუმჯობესდა პროკურატურის მუშაკთა შრომისა და სოციალური პირობები.

ბატონმა ვახტანგმა უდიდესი ავტორიტეტით შეძლო რეკორდულად მცირე დროში, წელიწადნახევრის განმავლობაში, აეშენებინა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე დაპროექტებული პროკურატურის ადმინისტრაციული შენობა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა ჩვენი კოლეგები მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

დიდია ვ. რაზმაძის წვლილი საქართველოს სისხლის სამართლის, საპროცესო სამართლის სხვა დარგების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალურ დამკვიდრებასა და რეალიზაციაში. საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას ადამიანის პატივისა და ღირსების განუხრელად დაცვისადმი მისი შეუვალი და პრინციპული დამოკიდებულება საწინდარი ხდებოდა რიგ უსაფუძვლოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაციისა.

მას შემდეგ, რაც ბატონი ვახტანგი აქტიურ საპროკურორო საქმიანობას ჩამოსცილდა, ოდნავადაც არ მოუდუნებია ყურადღება ქვეყანაში კანონიერების დაცვის მიმართ. გულწრფელად და კმაყოფილებით აღიქვამდა ამ მიმართულებით განხორციელებულ სასიკეთო ძვრებს. ამასთანავე, ახალგაზრდა კოლეგებს მოუწოდებდა სამართალდაცვითი საქმიანობისას სცოდნოდათ, როგორ უნდა მოქცეოდნენ ხალხს, დანაშაულის პროფილაქტიკის უტყუარ საშუალებად დაესახათ დამნაშავეთა დროული მხილება და იმ პირობების აღმოფხვრა, რაც ხელს უწყობდა მათ წარმოქმნას, აღსანიშნავია, რომ ბატონ ვახტანგს თავის ყველაზე კაცურ თვისებად ადამიანის სიყვარული მიაჩნდა, ყველა კეთილი საქმე მასში ნათელ ემოციას იწვევდა, ამიტომაცაა მეტად სამწუხარო, რომ ჩვენგან წავიდა ვაჟკაცური შემართების კოლორიტული პიროვნება, სამართლიანობისთვის მებრძოლი, ოჯახისა და მეგობრების ერთგული და მოყვარული.

ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს მისი სული.

**კოლეგები და მეგობრები**

# გიორგი ჟორჟოლიანი

ამქვეყნიური ცხოვრების გზა დაასრულა ღირსეულმა ქართველმა მოქალაქემ გიორგი ჟორჟოლიანმა.

გიორგი ჟორჟოლიანი დაიბადა 1930 წელს. 1937 წლის სასტიკმა რეპრესიებმა იმსხვერპლა გიორგის მამა ვიქტორ ჟორჟოლიანი და გიორგისაც, ისევე, როგორც მრავალ მის თანამედროვე თანამემამულეს, ბევრი სიძნელის გადალახვა მოუწია ბავშვობასა და ჭაბუკობაში. გიორგი ჟორჟოლიანმა 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი; 1954-დან 1966 წლამდე გიორგი ჟორჟოლიანი მოღვაწეობდა განათლების სისტემაში – იყო მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, პედაგოგიკის ინსტიტუტის ასპირანტი, სწავლული მდივანი, განათლების სისტემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი, კითხულობდა ლექციებს თსუ-ში და პედინსტიტუტში. 1966 წლიდან გიორგი ჟორჟოლიანი მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფთან ერთად სათავეში უდგება პირველი ქართული ენციკლოპედიის მომზადების უდიდეს საქმეს. მან, როგორც მთავარი რედაქტორის მოადგილემ, თავისი ფართო ერუდიციის, შემოქმედებითი გაქანებისა და დაუღალავი შრომისუნარიანობის წყალობით დიდი ამაგი დასდო ამ საშვილიშვილო საქმის საფუძვლის ჩაყრას. ენციკლოპედიაში გატარებული წლები მისი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი იყო.



1973-1976 წლების განმავლობაში გიორგი ჟორჟოლიანი სოხუმის ქალაქკომის პირველი მდივანი იყო. სოხუმში მუშაობისას, ურთულეს და დაძაბულ ვითარებაში მან მოახერხა ბევრი მტკივნეული და მწვავე პრობლემის გადაჭრა, აფხაზებსა და ქართველებს შორის მეგობრული და სათანამშრომლო ატმოსფეროს დამკვიდრება. ამ დროიდან მოყოლებული აფხაზეთის საკითხი, აფხაზთა და ქართველთა ძმობის, ერთობისა და დაპირისპირების პრობლემა მისი მუდმივი ფიქრისა და მეცნიერული ანალიზის საგანი ხდება.

1976-81 წლებში გიორგი ჟორჟოლიანი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი. 1981-86 წლებში კი მუშაობდა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილედ. ქართული და უცხოური ლიტერატურის შესანიშნავმა ცოდნამ, პრინციპულობამ და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობამ მაღალი ავტორიტეტი მოუპოვა მწერალთა, კულტურის მოღვაწეთა და საზოგადოებრივ წრეებში.

1986 წლიდან პენსიაზე გასვლამდე გიორგი ჟორჟოლიანი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი. ამ თანამდებობაზეც და შემდგომაც, თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე იგი ინტენსიურად იკვლევდა საქართველოს ისტორიისა და დღევანდელობის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს.

მან მრავალი სამეცნიერო სტატია, წიგნი და ვრცელი გამოკვლევები და წერილი მიუძღვნა აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემათა ისტორიულ და სამართლებრივ ასპექტებს. მისი თანაავტორობითა და რედაქციით გამოქვეყნდა რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი და ფართო პრობლემატიკის კრებული ამ საკითხების შესახებ. ეს ნაშრომები მომავალშიც შეინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

გიორგი ჟორჟოლიანი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი და ნათესავი, ამავდროულად იგი იყო ნამდვილი საზოგადოებრივი პიროვნება, საზოგადო მოღვაწე და გულმხურვალე პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ხალხის წარსულის მოყვარული, აწმყოს განმცდელი, მომავალზე მოფიქრალი და მზრუნველი კაცი.

მაღალი სულიერებით, ფართო განათლებით, ფენომენალური მეხსიერებით, მახვილგონიერებით, რბილი, ინტელიგენტური მანერებით, სიკეთით ადამიანთა ურთიერთობაში – ყველა ამ ნიჭით გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდა გიორგი ჟორჟოლიანი და ასეთად დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

**მეგობართა ჯგუფი**

---

მეუღლე ლეილა შელიავა, შვილები გია, პაატა, რძლები თინა ზალდასტანიშვილი, ნანა ჟორჟოლიანი, თეა მაქაცარია, შვილიშვილები გიორგი, ირინა, ქეთი ჟორჟოლიანები, შვილთაშვილები თინი, ელკი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ჟორჟოლიანი

დაკრძალვა 1 IX, 15 სთ. მისამართი: საირმის ქ. კორპ. XII.

---

ავთანდილ მჭედლიშვილი, თამაზ სანიკიძე, ფერდინანდ ლორთქიფანიძე დიდი მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი მეგობრის

გიორგი ჟორჟოლიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მთავარი პროკურატურა სამძიმარს უცხადებს საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის, განსვენებული

ვახტანგ რაზმაძის

ოჯახს.

---

ნუგზარ გაბრიჩიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ რაზმაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი თანაუგრძნობს ექიმ მარიკა რაზმაძეს მამის

ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძის

გარდაცვალების გამო.

---

ფრიდონ თოდუა, თინათინ შენგელაია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ვახტანგ რაზმაძის

გარდაცვალების გამო და იზიარებენ ოჯახის მწუხარებასას.

---

გია სვანიძე, ლამარა თოდუა იზიარებენ მარიკა რაზმაძის ოჯახის მწუხარებას

მამის

გარდაცვალების გამო.

---

ზაალ გველესიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

როლანდ გილიგაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება

ვახტანგ რაზმაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლაური ჯანაშია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ რაზმაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

რევაზ და ზურაბ მიქაბერიძეები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მამუკა რაზმაძეს მამის

ვახტანგ რაზმაძის

გარდაცვალების გამო.

---

ავთანდილ და დავით კერესელიძეები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მამუკა რაზმაძეს მამის

ვახტანგ რაზმაძის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ვახტანგ რაზმაძის

გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებს მის დამწუხრებულ ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება ჩინებული ქართველი ინტელიგენტის

გიორგი ჟორჟოლიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

შვილი მანანა, შვილიშვილები ეკატერინე, ზაზა მიქაძეები, რძალი თინათინ რუსია, სიძეები სანდრო მიქაძე, გრეგორი მაიერინგი, შვილთაშვილი მათე მაიერინგი იუწყებიან

ვერა ისაკის ასულ ნასყიდაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 IX, 17 სთ. თბილისი, ლალიონის შესახვევი №5 (გადასასვლელ ხიდთანძ. გამოსვენება 3 IX, 15 სთ. წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიიდან, უზნაძის (ყოფილი კამოსძ ქ. №4.

## ◉ დღის კალენდარი

**1 სექტემბერი**







### წლის 244-ე დღე – ახალ წლამდე დარჩა 121 დღე.

### მე-13 შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.

**ხსენება წმიდა მოწამეთა ანდრია სტრატილატის და მასთან ერთად დაღუპულ 2593 მხედრისა (IVს. ღირსი მამა თეოფანე ახლისა.**
ხსენება წმიდა მოწამეთა ტიმოთესი, აღაპისა და თეკლესი (304-306ს; წმიდა პიტირიმე პერმის ეპისკოპოსისა (1456ს.

**ხსენება წმიდა მღვდელმოწამეთა ქუთათელ გაენათელი მიტროპოლიტის ნაზარისა და სამღვდელო კრებულისა:**

1924 წლის 27 აგვისტოს და 1 სექტემბერს ქუთაისში, საფიჩხიაზე, მოწამებრივად აღესრულნენ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავაძ და სამღვდელო კრებული: გერმანე (ჯაჯანიძეძ, იეროთეოზი (ნიკოლაძეძ, სიმონი (მჭედლიძეძ და ბესარიონი (კუხიანიძეძ.

1924 წლის 2 აგვისტოს მიტროპოლიტი და მღვდელმსახურნი დააპატიმრეს. წაუყენეს ბრალდება – „მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალური კრების მოწყობა და ადგილობრივი მმართველობის დაუმორჩილებლობა". ხუთი სასულიერო პირი გარიჟრაჟზე საფიჩხიაზე დახვრიტეს.

ამბობენ, ზემოდან წაყრილი მიწა დიდხანს თრთოდაო.

## დაიბადნენ:

**1870 – გიორგი გეხტმანი,** ეკონომისტ-გეოგრაფი,პროფესორი. გარდაიცვალა 1956 წელს.
**1877 – ფრენსის უილიამ ასტონი,** ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. ააგო პირველი მას-სპექტრომეტრი და მისი საშუალებით ქიმიური ელემენტების 213 სტაბილური იზოტოპი აღმოაჩინა. გარდაიცვალა 1945 წელს.
**1881 – მორის ბრეირი,** ფრანგი ქართველოლოგი. გარდაიცვალა 1960 წელს.
**1903 – ნიკოლოზ აგიაშვილი,** ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი.
**1909 – ალექსანდრე ფრანგიშვილი,** ქართველი ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
**1925 – თენგიზ ღვინიაშვილი,** მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი.
**1930 – გივი აზმაიფარაშვილი,** დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

## გარდაიცვალნენ:

**1648 – მარინ მერსენი,** ფრანგი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი.
**1715 – ლუი XIV,** საფრანგეთის მეფე.

## მოვლენები:

**1661** – დაიწყო დიდი ხანძარი ლონდონში, რის შედეგადაც ქალაქის 80 პროცენტი განადგურდა.
**1666** – რუსეთში წვერის ტარებაზე გადასახადი შემოიღეს.
**1752** – გაიმართა თულქითაფას ბრძოლა. ქართველებმა ერეკლე II-ის წინამძღოლობით დაამარცხეს შაქის ხანი აჯი-ჩალაბი.
**1752** – ჟაკ შარლმა ძმასთან, რობერტთან ერთად, განახორციელა პირველი თავისუფალი გაფრენა წყალბადის აეროსტატით.
**1859** – ექსპლუატაციაში შევიდა პირველი საძილე ვაგონი.
**1864** – სედანის ციხე-სიმაგრესთან ბრძოლაში საფრანგეთის არმია დამარცხდა გერმანია-პრუსიის ჯართან.
**1916** – ბულგარეთმა ომი გამოუცხადა რუმინეთს.
**1923** – იაპონიაში 7.9 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მთლიანად დაინგრა ქალაქი იოკოჰამა და ნაწილობრივ ტოკიო.
**1926** – ალბანეთი სამეფოდ გამოცხადდა და მეფედ აირჩიეს ახმედ ბეგ ზოგუ.
**1939** – დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. გერმანია შეიჭრა პოლონეთში.
**1975** – ბანგლადეშში აიკრძალა პოლიტიკური პარტიები.
**1985** – ამერიკა-საფრანგეთის ექსპედიციამ 4000 მეტრ სიღრმეზე ტიტანიკის ნამსხვრევები აღმოაჩინა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
მშვიდობის მსოფლიო დღე,
ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღე,
ბელორუსული დამწერლობისა და ბეჭდვითი სიტყვის დღე.
უზბეკეთი – დამოუკიდებლობის დღე.
ბრუნეი – ყურანის აღმოჩენის დღე.
ლიბია, ეგვიპტე – რევოლუციის დღე.
მექსიკა – საპრეზიდენტო დღე.
პუერტო-რიკო – შრომის დღე.
ტანზანია – გმირების დღე.
სირია – ეროვნული ერთიანობის დღე.

## ◉ გახსენდება თუ არა...

# ბაბუა ჩიტას იუბილე

**ჰემფრი ბოგარტი. ჯანეტა მაკდონალდი. ჩარლზ ლაუტონი. ჯეიმს კუგნი. კაალი კურჩი. ბესტერ კიტონი...**

ჩემი თაობის კინომოყვარულები ამ გვარ-სახელებს კიდევ გააგრძელებენ. ომის შემდეგ ნაალაფარმა ფილმებმა, „ტროფეინის" რომ ვქახდით, ერთიანად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა კინოზე, ხელოვნების „ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვან დარგზე", როგორც მაშინ ამბობდნენ. ამ ფილმებმა ერთიანად დაიპყრო (ნეტა იმ დროს!ძ კინოეკრანები. ყოველ ორშაბათს ახალი ფილმი, რა თქმა უნდა, ამერიკული. შენი ოცნების კინომსახიობები, რა თქმა უნდა, ამერიკელები. ვნებათაღელვა და ინტერესი, რომელიც თან ახლდა, ვთქვათ, „ტარზანის" სერიალებს, ძნელად რომ რომელიმე, თუნდაც მაღალმხატვრულმა, სხვა ფილმმა ოდესმე გაიმეოროს.

ზაფხულში, მახსოვს, არდადეგებზე სოფელში ჩავედი და „ტარზანიც" ჩამოიტანეს. სახელდახელოდ მოწყობილ სოფლის საზაფხულო კლუბში ტევა არ იყო. ხეებზე გასულ ბავშვებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, ტარზანის წაბაძვით, ტოტიდან ტოტზე ხტებოდნენ და მისებრ ყვიროდნენ. „ტარზანს" კი მთელი ღამე მექანიკოსი დაუღალავად „ატრიალებდა". არავინ აცხადებდა: „მორჩა კინო!"

ჩიტა. ჯეინი. ტარზანი. სად არიან დღეს ეს ვარსკვლავები, ან კიდევ სხვები ამ ფილმიდან? ჯონი ვაისმიულერი და მირონ ო' სალივანი ცოცხლები აღარ არიან. აი, შიმპანზე ჩიტამ კი ამას წინათ დაბადების 77 წლის იუბილე გადაიხადა.

საზოგადოდ, შიმპანზეს მოდგმა 40-45 წლამდე ცოცხლობს, მაგრამ თუ პირობები შეუქმნეს და კვებაც რიგიანი დაუნიშნეს, შიმპანზემ დამატებით შეიძლება 10-12 წელიც კი „მოლუნოს". „ტარზანის" ჩიტა კი ამ მონაცემებით გინესის წიგნშიც კი მოხვდა.

ჩიტას დაბადების დღემ დიდი ლაზათით ჩაიარა. იუბილარმა დალია ათობით ქილა დიეტური სასმელი და მიირთვა საყვარელი საჭმელი – ტორტი. ამჯერად უშაქროდ, რადგან პლანეტის ყველაზე ხნიერ შიმპანზეს დიაბეტი აწუხებს და დღეში ასჯერ ინსულინის ნემსებს უკეთებენ.

თავის დაბადების დღეზე ჩიტა სრული გულგრილობით ადევნებდა თვალს რეპორტიორების ფუსფუსს, ფოტოაპარატების ჩხაკუნსა და ნათებას – ის ხომ საუკუნის მესამედზე მეტ ხანს მოღვაწეობდა კინოში – ჯერ მარტო ტარზანის თავგადასავლების 12 ფილმში თამაში რად ღირს? როგორც ყველა ცნობილი და სახელგანთქმული, ვერც ჩიტა გადაურჩა ვარსკვლავურ ავადმყოფობას: დემონსტრაციულად გარბოდა გადასაღები მოედნიდან, როცა, ვთქვათ, როლანდ რეიგანს, მის პარტნიორს, შორეულ 1951 წელს გადაღებულ ფილმში „დროა ბონზამ დაიძინოს", თავისი როლის ტექსტი ავიწყდებოდა.

ბოლო 17 წელია ჩიტა ქალაქ პალმსპრინგსის, ცნობილი ჰოლივუდელი ცხოველების მომთვინიერებლის ტონი ჯენტრის ნათესავებთან ცხოვრობს. პენსიაზე გასვლის შემდეგ ჩიტა, რა თქმა უნდა, შეიცვალა. ადრე იგი სიგარეტსაც ეწეოდა, უარს არ ამბობდა ბრენდსა და ლუდზე. დღეს სპირტიანი სასმელების მიღება აკრძალული აქვს.

ამას წინათ ცნობილი ამერიკელების მთელმა ჯგუფმა, მათ რიცხვში კი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც იყო, პეტიცია გააგზავნეს ჰოლივუდში თხოვნით – უკდავყონ ცნობილი შიმპანზე ჰოლივუდის დიდების ხეივანში მისი სახელობის ვარსკვლავით. ეს ის შემთხვევაა (დღეს მით უმეტესძ, როცა დამსახურება და ამაგი ფუჭად არ იკარგება და მას მადლიერებით ზღავენ.

**გურამ ვაშაკიძე**



**კადრი ფილმიდან – „დროა ბონზემ დაიძინოს". რონალდ რეიგანთან ერთად. განა შეეძლო მაშინ ჩიტას წარმოედგინა, რომ მას ბოთლიდან დაალევინებდა აშშ-ს მომავალი პრეზიდენტი.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

*„საქართველოს რესპუბლიკაში"*

**99-62-77; 899 32-85-76.**

## ◉ კადრი



## ◉ ანეკდოტები

**პოლიციელები მანქანას აჩერებენ:**
**– ნარკოტიკები ან იარაღი ხომ არ გადაგაქვთ?**
**– იარაღი არა, ნარკოტიკები – ჯერჯერობით არა!**
**– რატომ ჯერჯერობით?**
**– იმიტომ, რომ ახლა ჩამიგდებთ!**

* * *

**– შენ ისე გამხდარხარ...**



**– ეს კომპლიმენტია?..**
**– ეს საშინელებაა...**

* * *

**ქალიშვილის შეძენა კარგია. ყოველ შემთხვევაში, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ შვილიშვილები ნამდვილად შენია.**

* * *

**ქმრების საყურადღებოდ: სახლში უნდა დაბრუნდეთ დროულად, ან ყოველდღე.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
99-62-77; 899 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.